“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№4 (294)
აპრილი
2023 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეხუთე წელი "LITERATURULI MESKHETI"

გამოიღვიძეთ ქართველებო!..

ტარიელ ხარხელაური

დღეს ჩემი ქვეყნის ყველა ძარღვი არის გახსნილი
და შეუწყვეტლივ მოდის სისხლი ყველა წყლულიდან,
დგას საქართველო დაბზარული და თავდახრილი,
სხვა საქართველო შემომკვნესის ღრმა წარსულიდან.

იმ საქართველოს ახლანდელი არაფრით არ ჰგავს,
იმ საქართველოს ახლანდელი აღარც ჩრდილია,
გამოიღვიძეთ ქართველებო! – სამშობლოს ვკარგავთ,
ვკარგავთ თუ... უკვე დავკარგეთ და, გარდაცვილია.

ვერ შევეგუე ჩემს მამულში სხვა თესლის წანწალს,
არ ეკადრება არც მამულს და არც ჩემს ღირსებას,
სამშობლოს იქით სიყვარული მამულის არ მწამს,
კვნესის გული და სინანულის ცრემლით ივსება.

ვოი მამულო, გაძარცვულო უფლის ტაძარო,
ვოი მამულო, რა მწუხარედ რეკენ ზარები,
ყველა კარები ჩამოხსნილი მხვდება საძვალის
და ძვალთა ნაცვლად აკლდამებში ჰყეფენ ქარები.

ვოი მამულო, დანაცრულა ყველა მზე თუკი
არ განკურნულა ყველა წყლული შენი ღიობის,
შენ თუ არ იქენ, მტვრად ქცეულა მსოფლიოს რუკა,
მთელი სამყარო ამ შეშლილი კაცობრიობის.

შენში ვარ – უფრო მენატრები, უფრო მწყურიხარ,
მწუხრისას შენ წინ მუხლს ვიდრეკ და მკერდზე გეხები,
ვოი მამულო, ტკივილებით ისე სრული ხარ,
ჭრიალი მესმის დაღუნული შენი ხერხემლის.

დავიღალე და, შენც დაგღალე მოთქმით, გოდებით,
იმედი უფლის – სხვა საშველი არ ჩანს არსაით,
გავდივარ შენგან, საწყისს ჩემსას ვუახლოვდები,
და მიმაქვს გული, მიმაქვს გული ცივი ქვასავით.

შუაღამეა, ფერგადასულს შევყურებ ცარგვალს,
დედამიწაზე გალეული მთვარის ჩრდილია,
გამოიღვიძეთ ქართველებო! – სამშობლოს ვკარგავთ,
ვკარგავთ თუ... უკვე დავკარგეთ და, გარდაცვლილია...

„ვსრ ჩემი ქვეყნის გულოსმტვსრი ჭრილყოფლი,
ერრილ ზრყინვლე მომოსვლილი მლყრ გსვლხსრ.
თუ სქსრთველო სრ იქნებს თსვილყოფლი,
დე, მცვრსდ ქცეულიც ოსმენსხოლ მთელი სსმყსრთ!“

სიმონ ბერეჟიანი

ვალერიან მაღრაძე – 100

მესხური სულის მებაირახტრე

მესხეთი ოდითგან საქართველოს ერთ-ერთ მძლავრ კულტურის კერას წარმოადგენდა, რომელმაც

უდიდესი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურისა და კულტურის განვითარების საქმეში, მაგრამ მის თავზე მრავალგზით დატრიალებულმა ქარტეხილებმა დაამცრო, დედა-სამშობლოს თანდათან მოწყვიტა მისი პროვინციები და მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის სახით შემორჩა დღევანდელობას. ალ ფრონელის სიტყვებით რომ ვთქვათ – „დღეს მესხეთს ველარ იცნობთ, წარსულის აჩრდილი და ნატამალია. ჩონჩხი რა არის, ჩონჩხისთვისაც კი ვერ შეგვიდარებია რუსთველის, ბექას და აღბუღას სამშობლო, ისე დაკნინდა ძველი ერთიანი საქართველოს ეს მშვენიერი და სიცოცხლით სავსე მხარე. დღევანდელი მესხეთი ერთი შემზარავი, თვალგადაუწვდენელი და უსაზღვრო სასაფლაოა...“ ადგილობრივი მოსახლეობის მთავარ საზრუნავს კი მხოლოდ ფიზიკური გადარჩენისათვის ბრძოლა წარმოადგენდა, მატერიალური კულტურისათვის დამახასიათებელი და ღირებული არაფერი აღარ იქმნებოდა, ყოველივე ეროვნული ისპობოდა და ნადგურდებოდა. მხოლოდ მესხურ ზეპირსიტყვიერებაში თუ გამოანათებდა ხოლმე წინაპართაგან ნასაზრდოები მესხი კაცის სიბრძნე, ისიც – თურქულენოვანი.

ქართულ კულტურასთან ერთად დავიწყებას მიეცა მესხური მრავალხმიანი სიმღერები, აღარავის ახსოვდა მხედრული, სუფრული, სამეურნეო ხასიათის სიმღერები, რომელნიც ერთხმიანმა ბაიათებმა შეცვალეს და წარსული დიდებისაგან აღარაფერი დარჩა რა...

თითქოს განგებამ მოუვლინა მხსნელად ამ მხარეს გასული საუკუნის 60-იან წლებში ვალერიან მაღრაძე, ძირძველი მესხი, რომელმაც დიდი შრომა გასწია და მკვდრეთით აღადგინა მივიწყებას მიცემული მესხური ხალხური სიმღერები.

უნდა ითქვას: რომ არა ვალერიან მაღრაძე, სრულიად დაიკარგებოდა იგი და შეუძლებელი გახდებოდა მათი აღდგენა-დამუშავება. ჩვენს ეროვნულ საგანძურს აღარ ექნებოდა „მამლი მუხასა,“ „გეგუთისა მინდორზედა,“ „სახლო, სალხინოდ ნაშენო,“ „ოთხი წყარო სდის,“ „შავლეგო,“ „ავთანდილ გადინადირა“ და მრავალი სხვა. ამ სიმღერების ერთი ნაწილი დღეს საქართველოს რადიო-ტელევიზიის ოქროს ფონდის საკუთრებას წარმოადგენს.

ვალერიან მაღრაძეს ფეხით ჰქონდა შემოვლილი სამცხე-ჯავახეთი, ჩაიწერა დავიწყებას მიცემული მესხური სიმღერების ასობით ვარიანტი და მის მიერვე შექმნილი ანსამბლის – „მესხეთის“ მეშვეობით, დაამუშავა და სრულყოფილი სახე მისცა.

ალბათ, დღესაც ახსოვთ სასოფლო კლუბ-ბიბლიოთეკებსა თუ კულტურის სახლებში ხანდაზმულ ადამიანებთან მისი შეხვედრები, თუ როგორი რუდუნებით ხვეწდა და სრულყოფილებაში მოჰყავდა თითოეული სიმღერა. ასე, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, მრავლდებოდა ნალოლიავებელი მესხური სიმღერები. იგი მზად იყო თითოეული მათგანი საზოგადოებრივი განხილვის საგნად ექცია და სხვათა აზრიც უყოყმანოდ გაეთვალისწინებინა.

ვალერიან მაღრაძის სახელთანაა დაკავშირებული მესხეთში მოძიებული ხალხური ზეპირსიტყვიერების სხვა არაერთი ნიმუში, მათ შორის ლეგენდები და თქმულებები შოთა რუსთაველზე, თამარ მეფეზე, თმოგვის ციხეზე, დამკალზე და ა.შ. მას ეკუთვნის აგრეთვე საცეკვაო სიუიტა სიმფონიური ორკესტრისათვის, კონცერტი ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის, კამერულ-ინსტრუმენტალური ნაწარმოებები, პიესა საფორტეპიანო კვინტეტისათვის, საგუნდო სიმღერები, საბავშვო საგუნდო სიმღერები, მუსიკა სპექტაკლებისთვის და მრავალი სხვა.

100 წელი გავიდა ვალერიან მაღრაძის დაბადებიდან. მისი სახელი დღესაც ცოცხლობს მადლიერ შთამომავლობასა თუ თაყვანისმცემლებში. ამა წლის 15 მარტს კი, მისი სახელობის ასპინძის სამუსიკო სკოლის დარბაზში საზეიმოდ აღინიშნა დიდი მამულიშვილის საიუბილეო თარიღი, სადაც ამავე სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი იქნა იუბილარი კომპოზიტორის მუსიკალური ნაწარმოებები, ფოლკლორულ ანსამბლ „წუნდას“ მიერ – ვალერიან მაღრაძის მიერ აღდგენილი მესხური ხალხური სიმღერები.

დამსწრე საზოგადოება დალოცა სოფელ საროს მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა ზოსიმემ, იუბილარი კომპოზიტორის დამსახურებაზე ისაუბრეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა მაკა ბერიძემ, რექტორის მოადგილემ, პროფესორმა მერაბ ბერიძემ, ამავე უნივერსიტეტის თანამშრომელმა თეიმურაზ მაღრაძემ, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა ავთანდილ ბერიძემ. მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ ყურადღება გაამახვილა ანალოგიური ღონისძიებების ჩატარების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე, მესხური ფოლკლორის განვითარების პერსპექტივებზე და მზაობა გამოთქვა დაბის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ვალერიან მაღრაძის სახელი.

საიუბილეო საღამოს ორგანიზაცია გაუწია და უძღვებოდა სამუსიკო სკოლის დირექტორი ნათია ასპანიძე.

ავთანდილ მესხი

მიძღვნა ვალერიან მაღრაძეს

როგორც ნაფლეთები ფრესკის,
ხახულის და სხალთის ტაძრის,
როგორც დაკარგული ლექსი
შავთელის თუ ჩახრუხაძის.

როგორც აწყვეტილი მძივი,
აჩეხილი ვაზის ფესვი,
მოჩხრიკე და მოიძიე
სიმღერბი ვინმე მესხის.

როგორც წლებში ჩაკარგული
სახელები კაი ყმების,
გააცოცხლე მესხის სული –
საქართველოს ძველი ხმები.

რაც გვქონდა და რაც დავკარგეთ,
რაც ქართული იყო ოდით:
მესხურ კილოს, მესხურ ჰანგებს,
მესხურ ხმას და მესხურ მოტივს.

რაც გადურჩა წლების ჯვარცმას,
უფრო მეტად მტრების რისხვას,
აგროვებდი მარცვალ-მარცვალ,
კრებდი ასე მისხალ-მისხალ.

დღეს მესხეთის იმ ჰანგს, იმ ხმას,
იმ კილოს და იმ მოტივებს,
საქართელო გულში იკრავს,
როგორც დაბრუნებულ შვილებს.

ნოდარ ჯალაღონია

ძუნად დაკარგულნი

ძიება ბორჯომიდან დავიწყე 1961 წელს. გავიცანი მოხუცი მესხი პავლე ბერიძე. იგი სოფელ ერკოტიდან იყო, ახლა ცხოვრობს ბორჯომში.

საერთოდ, მესხები დინჯი ხალხია, ასეთი გამოთქმაც კი არსებობს ხალხში: „პირველთქმულია ძველთაგან (ან ბრძენთაგან) სიდარბაისლე მესხისა“. ეს 75 წლის საშუალო ტანის, გამხდარი, კეთილი და ცოცხალთვალებიანი ჭაღარა მოხუცი კი მეტად მოძრავი ბუნებისა და მშობლიური კუთხის დიდი ენთუზიასტი აღმოჩნდა. მართალია მან თვითონ ვერცერთი მნიშვნელოვანი სიმღერა ან ცნობა ვერ მომაწოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, დიდი სამსახური გამიწია ბორჯომში მცხოვრებ მესხთა მოძებნაში; როდესაც ჩემი ჩამოსვლის მიზანი გაიგო, მან მთელი ბორჯომი რამდენიმეჯერ ფეხით შემოიარა. გაიგო თითქმის ყველა ხანდაზმული მესხის მისამართი და ყოველთვის, რა დროსაც არ უნდა მეთხოვა, დაუზარებლად, მუდამ ხალისით, თავისი განუყრელი ჯოხის კაკუნით მიმიძღვოდა წინ:

– აბა, შვილო, შენ იცი. განათლებული კაცი ხარ. ჩვენი დაკარგული კუთხე შენ უნდა ამოსწიო. საქართველოს ყველა კუთხის სიმღერებს ვისმენ რადიოში, ყველაზე

მესხური სიმღერების შემსრულებელთა ჯგუფი ასპინძაში

წერენ... ჩვენი მესხეთ-ჯავახეთი კი არავის ახსოვს. განა ჩვენში არ იყო ქართული სიმღერები? იყო! ბევრი რამე იყო. ჩვენში იმოდენა სიმდიდრეა წარსულში, რომ ბევრი, ბევრი წიგნი დაიწერება თუ კი კაცი მოინდომებს, მაგრამ, არ აინტერესებთ... ჩვენ კიდევ მივდივართ და ბევრიც მიგვაქვს თანა... მერე ვიღას მოსთხოვ... – გულის ტკივილით ბუტბუტებდა მოხუცი პავლე ბერიძე და ჩქარი ნაბიჯით მიბაკუნებდა, თითქოს ეშინოდა, რომ ვისთანაც მივდივართ, იმანაც არ გაგვასწროსო...

რამდენჯერ შევთავაზე, შეენელებინა სვლა ან შეესვენა, რადგან ფეხის სისწრაფე მის ხნოვანობას არ შეესაბამებოდა, არცერთხელ არ შეჩერდა: „ვიაროთ, დაგვიანდებაო“!

თუ უკვე, საერთოდ, გვიანი არ არის – გავიფიქრე მე. რატომ არ გვაქვს დღემდე ფიქსირებული სიმღერები? მესხური სიმღერების დაკარგვის რეალური საშიშროების შესახებ ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ასტეხეს განგაში გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწეებმა: ივანე გვარამაძემ (რომელიც ცნობილი იყო იმ დროს „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით), მხცოვანმა, სახელოვანმა რაფიელ ერისთავმა, იონა მეუნარგიამ, ზაქარია ჭიჭინაძემ... რომელთაც აღიმაღლეს ხმა, შესძრეს მაშინდელი პრესა და დაჟინებით მოუწოდებდნენ საზოგადოებას, მესხური სიმღერების გადასარჩენათ, მათი ნოტებზე ჩასაწერად... და კიდევ და კიდევ მომაგონდება რაფიელ ერისთავის გულში ჩამწვდომი და გულის დამწველი სიტყვები, რომელიც მას წარმოუთქვამს მესხური სუფრულების მოსმენის შემდეგ ივანე გვარამაძისათვის, რომელმაც უმღერა ეს სიმღერები: „ ... აღარსად აღარ მოიძევა მაგნაირი კილოები. ძლიერ კარგი იქმნება, რომ ვინმე მადლიანი პირი მაგათ, თვითეულად ნოტებზე გარდააღებინებდეს, თვარემ დაიკარგებიან უგზოუკვლოდ და მერე სინანული აღარას გვარგიაო. აგრე დაუდევრობით დაგვკარგვია ბევრი რამ ჩვენის ცხოვრების დიდად გამოსადეგარი სასიკეთო საგნებიო“.

მას მერე მეოთხედმა საუკუნემ გაიარა. ვინ იცის კიდევ რამდენი მესხური სიმღერა ჩაიტანეს სამუდამოდ საფლავში მცოდნე მოხუცებმა?

მართლაც და ვის მოვთხოვოთ დღეს ეს აუნაზღაურებელი ზარალი? რას მივაწეროთ, არ აღმოჩნდა „მადლიანი პირი“? „არ აღმოჩნდა ნოტების მცოდნე „ნოტებზე გადამღები“? თუ „დაუდევრობას“? ამ კუთხისთვის ხომ პირველ რიგში უნდა მიექციათ ყურადღება? რატომ არ მიაქციეს?

დღეს უკვე გვიანაა ამაზე ლაპარაკი და „სინანული აღარ გვარგია“.

მართალი იყო რაფიელ ერისთავი. მისმა სიტყვებმა დღესაც არ დაკარგეს ძალა. განა დღეს არ იკარგება ზოგი რამ „ჩვენის ცხოვრების დიდად გამოსადეგარი სასიკეთო საგნები“, ზოგიერთი დაუდევარი, უპასუხისმგებლო პიროვნების გამო?...

ვ. მაღრაძე და კ.როსებაშვილი ფრანგ ეთნომუსიკოლოგ ივეტა გრიმოსთან

მაგალითი? მესხური სიმღერების კრებული, რომელიც ჩაბარდა გამომცემლობა „ხელოვნებას“ 1969 წელს. მხოლოდ წელს უნდა გამოიცეს. ე.ი. 16 წლის შემდეგ... დამნაშავენი? ყველანი ცოცხლები არიან.

„დინჯი მესხი“ პავლე ბერიძე კი ჩქარობდა: „ვიაროთ, დაგვიანდებაო“ და მეც ვცდილობდი არ ჩამოვრჩენოდი მოხუცს, იქნებ ჯერ კიდევ არ არის დაკარგული ყველაფერი. ვიაროთ!

პ.ბერიძის დახმარებით ბორჯომში მცხოვრები თითქმის ყველა ხანდაზმული მესხი ვინახულე. თითქმის ყოველ მათგანს ულევი მოსათხრობი ჰქონდა თავისი თავგადასავლიდან, თურქთა შემოსევებისა და დარბევის ეპიზოდები (სამოქალაქო ომის დროინდელი), მამა-პაპათაგან გაგონილი და სხვა.

ძველი სიმღერების მცოდნეთაგან კი ერთადერთი მეტნაკლებად საინტერესო სიმღერა ჩავიწერე 60 წლის სოფიო გიორგაძე-ბერუაშვილისაგან: „სამნივე შევიყარენით“, რომლის ტექსტი „შემომეყარა ყივჩაღის“ ვარიანტს წარმოადგენს, მელოდია კი თავისებურია.

ძვირფასი ცნობები მესხურ გუდასტვირზე მომანოდა ამ საკრავის ხელოსანმა 70 წლის ტიმოთე ბერუაშვილმა (სოფელ კოთელიიდან).

ზოგიერთი ცნობა გადმომცა აგრეთვე (მესხურ სიმღერებზე და მათ ხმათა რაოდენობაზე – სამხმიანობაზე) 67 წლის ივანე თედორეს ძე მოსიძემ.

შემდგომ, ბორჯომს კიდევ რამდენიმეჯერ ვეწვიეთ, მაგრამ მნიშვნელოვანი აღარაფერი შემხვდა.

ბორჯომიდან გავეშურე ახალციხეს.

ვალერიან მაღრაძე
(1985 წელი)

ვალერიან მაღრაძის მიერ გაღარიბებული მესხური მუსიკალური საგანძური

ვიქტორია სამსონაძე

ეთნომუსიკოლოგი

არიან ადამიანები, რომელთა ღვაწლი ქართული მრავალწახნაგიანი და უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საქმეში ფასდაუდებელია. ასეთ პიროვნებათა რიცხვს თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ ვალერიან მაღრაძე, რომელმაც, მესხური მუსიკალური საგანძურის გადარჩენაში უმთავრესი როლი შეასრულა.

ბ-მა ვალერიანმა, როგორც თავისი კუთხის ღირსეულმა მამულიშვილმა, უზარმაზარი, მრავალწლიანი შრომა გასწია მესხური მუსიკალური მემკვიდრეობის დაფიქსირებისათვის და უნიკალური ჩანაწერები დაგვიტოვა. მას კარგად ჰქონდა გააზრებული ამ საქმის უპირობო საჭიროება, ვინაიდან ხედავდა, როგორ იკარგება, ილევა მის თვალწინ უდიდესი განძი და ცოტა-ღა რჩება იმ ეთნოფორთაგან, ვისაც ახსოვთ ძველი, ნამდვილი, საკუთრივ, ადგილობრივი ნიმუშები თუ ადათ-წესები. კომპოზიტორი, მეცნიერი და შემკრები, ვალერიან მაღრაძე ამ კუთხეში ხედავდა მრავალხმიანი აზროვნების კვალს, როგორც იტყვიან, სანთლით დაეძებდა ხანდაზმულებს, რომლებსაც ეხსომებოდათ, როგორ მღეროდნენ მათ შევხვდით და ჩავიწერეთ ბ-ნი შოთა ალთუნაშვილი. აგრეთვე, გავყევით სოფ. მუსხში ბ-ნ ვალერიან მაღრაძის ნაკვალევს და მისი ეთნოფორებისგან: მარო ჟუჟუნაძისა (67 წ.) და გიორგი ჯინჭველაძისაგან (88 წ.) ჩავიწერეთ ძალიან საგულისხმო ნიმუშები და ცნობები მესხური მუსიკალური (და არა მხოლოდ) ტრადიციების შესახებ: სუფრულებზე, ქორწილის მსვლელობაზე, ამინდის მართვის ყოფაში შემორჩენილ რიტუალზე, ერთ და ორსართულიან ფერხულებზე, „შვიდი წყვილი ფერხულისა“ და „მუნჯური ცეკვის“ („ლალოინის“) დეტალებზე და ა.შ. ჩვენი მასპინძელი იყო ქ-ნი მარო ჟუჟუნაძე, რომელიც ძალიან მუსიკალური და მჭევრმეტყველი გამოდგა. მისგან ჩავიწერეთ ცნობები ამინდის მართვის რიტუალის შესახებ, რომელიც იმ დროისათვის ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი მის სოფელში და მისსავე ინიციატივით არაერთხელ ჩაუტარებიათ, რათა ამინდი „გამოეთხოვათ“ ლაზარესა და ელიასგან. ამასთანავე, დავაფიქსირეთ ამინდთან დაკავშირებული თქმულებები და ნაირგვარი სიტყვიერი მასალა. რაც მთავარია, მან ცალ-ხმაში გვიმღერა ამინდის მართვის ნიმუში, „ლაზარ მოდგა კარსაო“, რომელიც იმდენად მრავალხმიანი ბუნების აღმოჩნდა, რომ იქვე ხმებში შევასრულეთ მასთან ერთად, რაც ეთნოფორმა „ბუნებრივად“ მიიღო და შესრულება არ გასჭირვებია. მარო ჟუჟუნაძისგან ჩავიწერეთ რამდენიმე ისეთივე ვარიანტი, როგორიც ვ. მაღრაძის საექსპედიციო მასალებში სამკურნალო, ამინდის მართვის, გლოვის ჟანრებით არის წარმოდგენილი. აგრეთვე. გვხვდება წმინდა ინსტრუმენტული ნიმუშები, საგალობლები, ქალაქური სიმღერის მესხური ინტერპრეტაციები. დამეთანხმებით, მხოლოდ ჩამონათვალიც კი შთამბეჭდავია! უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ჟანრი მასალებში მრავლად არის წარმოდგენილი თავიანთი ვარიანტებითა და დუბლებით, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ნიმუში ფართოდ იყო გავრცელებული ამ კუთხეში. ასეთ მაგალითებს მიეკუთვნება: სუფრულები და საქორწილოები („გეგუთისა მინდორზედა“, „მტრედმა თავის სიმართლითა“, „ძმანო დარბაისელნო“, „სახლო სალხინოდ ნაშენო“, „წინ სუფრა ვარდით სავსე გვაქ“, „ვინ დალევს მარნეულ ღვინოს“, „დარეჯან გაგათხოვებენ“, „მრავალჟამიერი“ - თავისი განვრცობილი ტექსტუალური ვერსიებით: „ოთხი წყარო“, „მადლობელი ვართ“, „მიმინო მყავდა“ „სხვისი გვეგონა“ და ა.შ; აგრეთვე „ნეფეო შენსა გვირგვინსა“, „წადი ღმერთმა გაგიმარჯოს“ და ა.შ.), საფერხულოები („ავთანდილ გადინადირა“, „მამლი მუხასა“, „სამყრელო“, „ვარძიობა-ძიობასა“, „ოქრომჭედელო“, სიმღერები თამარ მეფეზე და ა.შ.), შრომის ამსახველი ნიმუშები (ოროველები, მაგ. „ორმაბათობოთ აშენდა“, იგივე „ხარმა თქვა პირმანათელმა“, გუთნურები – მაგალითად. „სანთლის გუთანს ავაშენებ“, „შენი ჭირიმე გუთანო“, „გადი, გამოდი გუთანო“). შრომის სიმღერათა რიცხვს მივაკუთვნებდი აგრეთვე „ორმოში ფეტვი ჩავყარე“, რომლის არაერთი ვარიანტი არის ჩაწერილი.

შრომის სიმღერები მუსიკალური აღნაგობით ხშირ შემთხვევაში წააგავს ამავე ჟანრის კახურ ვარიანტებს. ზოგიერთი მათგანი კი მუსიკალური ხატოვანებითა და საშემსრულებლო ტექნიკით, მესხური სიმღერის სწორუპოვარ მარგალიტებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც ქართული სულის ნამდვილი გამოძახილი.

საექსპედიციო მასალებში გვხვდება ასევე, ამა თუ იმ ნიმუშის მხოლოდ ერთი მაგალითი, მაგრამ თავისი არსით იმდენად საინტერესო და მნიშვნელოვანი, რომ საჭიროებს სათანადო ყურადღებასა და შეფასებას. ასეთებს მიეკუთვნება. მაგალითად, საძეობო „მზე შინა“, რომლის ვარიანტები გვხვდება, აგრეთვე, გურიაში, ქართლსა და სამეგრელოში. ვ. მაღრაძის ჩანაწერებში ეს ნიმუში მამაკაცის მიერ არის შესრულებული, შეტანილია მისსავე წიგნში და მოგვეპოვება აუდიო ჩანაწერებში, ასე, რომ შესაძლებელია მისი პირველადი ჟღერადობის მოსმენა-აღქმა. ასევე, თითო ნიმუშადაა წარმოდგენილი: ბალადური „სიმღერა ანა ბაჯიაზე“, „ორალალის ქვეყანასა“, „წმინდა ნინოს ნათქვამი„; შრომის ნიმუშებში - „კალოური“, „ჯილღური“ და ა.შ.

ცალკე აღნიშვნის ღირსი და ძალზედ საინტერესო პლასტია თამარ მეფესთან დაკავშირებული სიმღერები, თავიანთი ვარიანტებით, ნაირგვარი მელოდიური და ჟანრობრივი განსხვავებულობებითა და შინაარსით. საყურადღებოა, რომ რიგ სასიმღერო ტექსტებში ხაზგასმულია შოთა რუსთაველის, როგორც თამარის სატრფოს როლი. ამასვე ადასტურებს ეთნოფორთა მონათხრობები. ხოლო ერთ-ერთი მაგალითი ფერხულითა არის შესრულებული, რომელიც „ქორწილებში და კარგ დღეებში“ სრულდებოდა. გვხვდება, აგრეთვე, „ვეფხისტყაოსნის“ მცოდნე ეთნოფორები, რომლებიც პოემიდან დიდ მონაკვეთებს ზეპირად (ლექსად) ამბობენ.

საინტერესოა, რომ მაღრაძის საექსპედიციო ჩანაწერებში არ მოგვეპოვება კოლექტიური შრომის ამსახველი სიმღერები (ნადურები) და ეს დასაფიქრებელი ფაქტია. ქართულ მოსახლეობაში ურთიერთდახმარების კოლექტიური ფორმები ძველთაგანვე იყო მიღებული. ამასთან დაკავშირებით მრავალი რიტუალიც ტარდებოდა. ამ პროცესის ამსახველი სიმღერებიც მრავლად არის შემორჩენილი სხვადასხვა კუთხეში. ჯგუფური შრომის ნაირგვარი ფორმით გავრცელების ფაქტებს ეთნოგრაფიული წყაროები მესხეთშიც მრავლად გვიდასტურებს. მაგალითად, დიდი გუთნის ასამუშავებლად საგანგებო კოლექტიურ ამხანაგობას მესხეთში „მოდგამი“ ეწოდებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ გურიის, აჭარის, იმერეთის მსგავსად, შრომის დროს მესხეთშიც მღეროდნენ კოლექტიურად. იმედს ვიტოვებ, რომ ამის შესახებ ცნობას ან რაიმე სახის ნიმუშს ოდესმე აღმოვაჩენთ.

საფიქრალია, ჰქონდათ თუ არა მესხებს ცხენოსნური ან ლაშქრული სიმღერები, სამაგიეროდ, ვ.მაღრაძის საექსპედიციო მასალებში გვაქვს მაყრულები, რომლებიც სრულდებოდა გზაში, აგრეთვე პატარძლის გასტუმრების ან ნეფე-პატარძლის დახვედრის დროს: „მოვდივართ, მოგვიხარია“, „მოგვყავს და მოგვიხარია წითელ-წითელი ძღოლი, რომლის მითითებას ყველა ვალდებულია დაემორჩილოს, გაიმეოროს და გადაურჩეს წკეპლას. მსგავსი რიტუალები სხვადასხვა სახელწოდებითა და ვარიანტებით გვხვდება სვანეთში („მელია-ტელეფია“, „ადრეკილა“), რაჭაში („წინამძღოლა“) აჭარაში („ბარი“, „ოჰოი ნანო“), ლაზეთში („ვაჰაჰაი ნანო“). მესხეთის მაგალითზე ეს რიტუალი თამაშის ფორმას ატარებს და საქორწილო ტრადიციის განუყოფელი ნაწილია. თუმცა, მოგეხსენებათ, მსგავსი ქმედება, თავისი თანმხლები დეტალებით, უძველეს წეს-ჩვეულებებში იღებს სათავეს. ვ. მაღრაძის საექსპედიციო მასალებში ამ ნიმუშის აღწერილობას ეთნოფორის საუბრიდან ვიგებთ, რომელიც გვამცნობს, რომ „ლალოინი“ ხალხის გასამხიარულებლად სრულდებოდა ინსტრუმენტების (ზურნა, დუდუკი, დოლი) თანხლებით.

ვრცელ და საგულისხმო აღწერილობას ვიღებთ, აგრეთვე, „შვიდი წყვილი ფერხულის“ შესახებ, რომელიც პატარძლის გასტუმრების მომენტში, ვაჟისეულ სახლში შეყვანის დროს ან ქორწილის დამთავრებისას სრულდებოდა მრგვალი ფერხულის სახით. შვიდი წრე უნდა დაერტყა შვიდ წყვილს ნეფე-დედოფლის ჩათვლით. მონაწილეებში მხოლოდ „ბედგამოუცვლელი“ წყვილების ჩართვა იყო დაშვებული. შვიდჯერ შემობრუნების შემდეგ წრე გაიხსნებოდა და გადადიოდა საერთო ცეკვა-თამაშში, სადაც დამსწრეთაგან უკვე ნებისმიერს შეეძლო მონაწილეობის მიღება. ეთნოფორებმა განმარტებით ამას ერქვა „მძიმე“ ანუ „მძიმური“ ცეკვა, რადგან ნელა და მძიმედ იცეკვებოდა. მოხუცების ცნობით, ეს ფერხულიც დუდუკის თანხლებით სრულდებოდა, თუმცა სახელწოდებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი პირვანდელი სახე სასიმღერო იქნებოდა.

ჩვენამდე მოღწეული მესხური მუსიკალური ფოლკლორის დიდი ნაწილი სუფრაზე შესასრულებელ სიმღერებს წარმოადგენს, რომლებიც იმისდა მიხედვით ჯგუფდება, თუ ლხინის რა მომენტში, რომელ ეტაპზე არის გაჟღერებული. შესაბამისად გამოიყოფა: ლხინის დასაწყისში – ე.წ. „სამხიარულო სიმღერები“: „მრავალჟამიერი“, „სამადლობელი“, „მოდი ვილხინოთ“ და ა.შ.; შემდეგ – „სუფრის გახსნის სიმღერები“: „ჯერ პირველად ღმერთი ვახსენოთ“, „მტრედმა თავის სიმართლითა“, „ძმანო დარბაისელნო„; შუა ლხინში – საკუთრივ „სუფრულები“: „წინ სუფრა ღვინით სავსეა“, „ვინ დალევს მარნეულ ღვინოს“, „გეგუთისა მინდორზედა“, „ჭარული კაბა შევკერე„; და, ბოლოს – „შემოძახილები“: „სახლო სალხინოდ ნაშენო“, „რად არ იმღერი დარბაზო“, „მასპინძელსა მხიარულსა“, ბოლოსკენ – „კორკოტი ვჭამეთ ასლისა, დრო არის ჩვენი წასვლისა“, „წასვლა სჯობს წარმავალისა“.

აღსანიშნავია საკუთრივ მესხური ნიმუშები: „გეგუთისა მინდორზედა“, „მტრედმა თავის სიმართლითა“, „წინ სუფრა“ და ა.შ, რომლებიც მაღრაძის აზრით, „საერთო ქართულ ძირზე ყოფილა წარმოქმნილი და ზოგადქართულ კანონ–წესებზე არის დაფუძნებული“. ამასთანავე, ზოგიერთი ნიმუშის წარმომავლობას შორეულ წარსულსაც უკავშირებენ. მაგალითად, ამ კუთხის მკვიდრი, ისტორიკოსი შ. ლომსაძე სიმღერას „გეგუთისა მინდორზედა“ ჩვ.წ.–ის არაუგვიანეს მე-8–9 საუკუნეებამდელ პერიოდს მიაკუთვნებს, ხოლო „მტრედმა თავის სიმართლითა„–ს ადრექრისტიანულ საწყისებს უკავშირებს.

სუფრის ადათ–წესებთან გადაჯაჭვულია ქორწილის მუსიკალური ტრადიციებიც. საგანგებოდ ქორწილის სუფრასთან შესასრულებელი სიმღერებია: „ოთხი წყარო დის“, „განა ჩვენგნითა“, „მადლობელი ვართ“, „მიმინო მყავდა“, „სხვისი გვეგონა“ (მეორე შემთხვევაში – „ჩვენი გვეგონა“), „მიველ და ვნახე“, „ჰარლი ჰარალე“, რომლებიც, მუსიკალური მასალის თვალსაზრისით, ერთი სიმღერის მუხლებად (კუპლეტებად) შეიძლება წარმოვიდგინოთ. თითოეული მათგანი სუფრის მსვლელობის სხვადასხვა მომენტში შესაბამისი სადღეგრძელოს კვალად და ტრადიციული წესების დაცვით სრულდებოდა.

მაღრაძის საექსპედიციო მასალებში გვხვდება აგრეთვე, კათოლიკური საგალობლების ჩანაწერები, რაც დაკავშირებულია კათოლიკე მღვდლების მოღვაწეობასთან.

დასასრულს ასე ვიტყოდი: ქართული ხალხური მუსიკალური მემკვიდრეობა – ჩვენი კულტურის ის უმდიდრესი და მრავალფეროვანი ნაწილია, რომლითაც საკუთარ იდენტობას ვინარჩუნებთ, ვიაზრებთ, ვამაყობთ და მსოფლიო კულტურის წიაღში ღირსეულ ადგილს ვიკავებთ. მადლობელი ვარ ვალერიან მაღრაძის, რომელმაც ამ მემკვიდრეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნახნაგის – მესხური მუსიკალური ტრადიციის უძვირფასესი ჩანაწერები გვიანდერძა.

ახალგაზრდობაში სხვადასხვა ხმაზე. სულ ხვენნით ამღერებდა ეთნოფორებს, რათა ბანით, ან მაღალი ხმის თანაჟღერადობით აჰყოლოდნენ ერთმანეთს, თავად უმღეროდა ამ ხმებს, ულვივებდა მეხსიერებას და დაუზარელად იწერდა მრავალჯერ და ბევრს, თუნდაც ერთსა და იმავე ვარიანტს.

იწერდა ყველაფერს, განსაკუთრებით კი, ისეთს, რაც ძირძველ მესხურ ტრადიციას უკეთ გაგვაცნობდა: მუსიკას – ნამღერსა და საკრავზე შესრულებულს, საუბარს – მსჯელობითა და მონათხრობით, ლექსს – დამღერებულსაც და „მშრალად“ ნათქვამსაც, ჩააბმევინებდა ფერხულს მოხუცებს, რათა, თუნდაც, ვიზუალის გარეშე, დაეფიქსირებინა მათი ფეხის ხმა, ფერხულის ყოფაში შესრულების არსებობა, მოძრაობის რიტმული ფორმულა და ა.შ.

საკუთარ საექსპედიციო მასალებზე დაკვირვების შედეგები, მეცნიერული დასკვნები და საკუთრივ ნიმუშები ბ-მა ვალერიანმა გაგვაცნო თავის წიგნში „ქართული (მესხური) ხალხური სიმღერები“ (1987), მაგრამ ამ ნაშრომში შესულია მხოლოდ მცირედი ნაწილი იმ დიდი მოცულობის მასალისა, რასაც მისი ექსპედიციები იძლევა, მის მიერ ჩაწერილი მუსიკალური ნიმუშები ფასდაუდებელ სამსახურს გაგვიწევს, რადგან ჩვენ შევძლებთ გავეცნოთ „ცოცხლად“ შესრულებულ სიმღერებს, ვაწარმოოთ დაკვირვება, ჩავუღრმავდეთ ინტონაციურ თავისებურებებს, მუსიკალურ ნიუანსებს და „ყურით შევეხოთ წარსულს“.

ვ. მაღრაძე არა მხოლოდ იწერდა მესხურ სიმღერებს, არამედ ცდილობდა მიეგნო მათი რეკონსტრუირების მეთოდისთვისაც. ამ მიზნით მან შეკრიბა ვაჟთა გუნდი, რათა მეტი შესაძლებლობა ჰქონოდა მესხური სიმღერების სამ-ხმიანად აჟღერებისა. შეძლებისდაგვარად, ჩაჰყავდა ბიჭები მესხეთში და იქვე ასმენინებდა ეთნოფორებს მრავალხმიან ვარიანტებს, რათა ეკითხა, რამდენად „სწორად“ ჟღერდა მათთვის ხმებში ნამღერი. ეთნოფორებიც იწონებდნენ და უქებდნენ შესრულებას. შედეგად მან დაამუშავა – „აღადგინა“ რამდენიმე სიმღერა, რითაც მაგალითი მისცა საზოგადოებას, თუ როგორ შეიძლება გაჟღერდეს მესხური სიმღერები დამუშავებული სახით. თუ რამდენად იდენტური ან დაშორებულია ეს „აღდგენილი“ სიმღერები მათ ოდესღაც არსებულ დედნებს, ეს ცალკე კვლევისა და მსჯელობის საგანია. ვფიქრობთ, ამგვარი მიდგომით მკვლევარს უნდოდა ეჩვენებინა, რომ მესხურ მუსიკალურ ტრადიციასთან დაკავშირებით თამამად შეიძლება მრავალხმიან ფორმებზე არა მხოლოდ საუბარი, კვლევა და ძიება, არამედ პრაქტიკული შესრულებაც.

დ. ბერიძე, ს.მამუკაშვილი, ვ.ალელიშვილი და ვ. მაღრაძე

კათოლიკური საგალობლების შემსრულებლები

ვალერიან მაღრაძის ნაკვალევზე

მე მქონდა შესაძლებლობა, 1999 წლიდან მოყოლებული, რამდენჯერმე ჩავსულიყავი მესხეთში ნიმუშების ჩასაწერად. პირველი ექსპედიცია ჩემს მეგობრებთან – ეთნომუსიკოლოგებთან, მაია გელაშვილსა და ქეთევან ბანცაძესთან ერთად განხორციელდა (მაია გელაშვილის ინიციატივითა და დიდი ძალისხმევით), სადაც გვხვდება, იმავე ან მსგავსი მელოდიითა და მუსიკალური მახასიათებლებით. მაგალითად: „მრავალჟამიერი“ – თავისი მუხლებით (კუპლეტებით): „ინებოს ღმერთმა“, „მიმინო მყავდა“, „მიველ და ვნახე“ და ა.შ.; „ოქრომჭედელო“, „მამლი მუხასა“, „ვარძიობა-ძიობასა“ და ხმით შესრულებული სადუდუკო მელოდიები. მისგანვე ჩავიწერეთ ერთი განსაკუთრებული ნიმუშიც, მესხური სიმღერის ნამდვილი მარგალიტი – „იავ ნანა“ (აკვნის ნანა), ძალიან საინტერესო ინფორმატიული ტექსტითა და დამახასიათებელი ფუძეინტონაციით, თუმცა ახალი მელოდიური ვარიანტით, რომელიც მას დედის ნამღერიდან ხსომებია. დღეს მარო ჟუჟუნაძე უკვე 90 წლისაა, ასაკს არ ეპუება და კვლავ მხნედ და ენერგიულადაა.

სხვადასხვა დროს, პირველი არხის (ახლანდელი საზოგადოებრივი მაუწყებელი) რეჟისორ ბ-ნ ბორის მარგველაშვილთან ერთად რეჟისორის ასისტენტის რანგში ვიყავი ჩასული სატელევიზიო-დოკუმენტური ფილმების ჩასაწერად. ათეული წლებით ადრე კი ბ-ნ ვალერიანს ბორის მარგველაშვილთან ერთად გადაუღია „მამლი მუხასა“ ფერხულით შესრულების უნიკალური კადრები და, აგრეთვე, სხვა სასიმღერო და ეთნოგრაფიული მასალა. ეს კადრები საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, სადაც მთქმელი ბატონი ვალერიანის საექსპედიციო მასალების ერთ-ერთი აქტიური ეთნოფორი, ლაზარე მჭედლიშვილია, ხოლო გუნდში, მახსოვს, მარო ჟუჟუნაძე ამოვიცანი. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ამ კადრებში თავად ვალერიან მაღრაძეც უნდა იყოს აღბეჭდილი. იმედს ვიტოვებ, რომ მესხური ჩანაწერების ეს უნიკალური ვიდეოკადრები კიდევ იხილავენ დღის სინათლეს.

აუდიო ჩანაწერები

რაც შეეხება თავად საექსპედიციო აუდიო ჩანაწერებს, შეგვიძლია ნაირგვარი კუთხით განვიხილოთ, დავინტერესდეთ და დავსვათ ჩვენთვის საინტერესო აქცენტები. მაგალითად, ავიღოთ ჟანრული მხარე. ასეთი მრავალფეროვნება ნებისმიერ დიალექტს დაამშვენებდა: შრომის (ცალფა), სუფრის, საქორწინო, საფერხულო, საცეკვაო, საწესო/საკულტო/სარიტუალო, კალენდარული საბავშვო-სათამაშო, ბალადური/ეპიკური, ლირიკულ-სატრფიალო, პატრიოტული, საძეობო, სააკენო,

ვალერიან მაღრაძე — დაბადებიდან 100 წლის იუბილე

ამა წლის 15 მარტს 100 წელი შესრულდა მესხური მუსიკალური ფოლკლორის დიდი მოამაგის, ვალერიან მაღრაძის დაბადებიდან. მის, როგორც შემკრებლისა და მკვლევრის მიერ დატოვებული უნიკალური საარქივო მასალა მეცნიერებსა თუ რიგით მოქალაქეებში დიდ მადლიერებასა და მოწიწებას ბადებს.

ვალერიან მაღრაძე (1923-1996) იყო პირველი მკვლევარი, ვინც 1960-იანი წლებიდან ამ რეგიონის მუსიკალური ფოლკლორის ფუნდამენტური შესწავლა დაიწყო. 1961 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე დაუღალავად კრებდა, იწერდა და აღადგენდა მშობლიური კუთხის სიმღერებს. ფასდაუდებელია

მოსე ზედგინიძე (102 წლის), კონსტანტინე ჯვარიძე (103 წლის) და ეგნატე გვირჯიშვილი (98 წლის).

მისი ღვაწლი მესხური მუსიკალური ფოლკლორის გადარჩენა-შენარჩუნების საქმეში. რომ არა მისი თავდაუზოგავი შრომა, დღეს ჩვენი ცოდნა ქართული კულტურის ამ უმნიშვნელოვანესი პლასტის შესახებ მეტად ბუნდოვანი იქნებოდა. მისი საექსპედიციო მასალა ერთადერთი და უნიკალური წყაროა, რომელიც მესხურ მუსიკალურ დიალექტს ასახავს.

ვ.მაღრაძე განათლებით კომპოზიტორი გახლდათ. 1958 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკულტეტი საკომპოზიციო განხრით (ანდრია ბალანჩივაძის კლასი). ავტორია კამერულ-ინსტრუმენტული და საგუნდო ჟანრის არა ერთი ნაწარმოების. 1969 წლიდან იყო სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის წევრი. 1972 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქართული ხალხური სიმღერის ისტორიის საკითხისათვის. მესხური დიალექტი“. 1976 წელს გახდა თსკ-ის დოცენტი. 1980-81 წწ.-ში ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის მესაზღვრეთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, 1980-1990-იან წლებში კი მის მიერვე კონსერვატორიის სტუდენტთა და თბილისში მცხოვრები მესხური წარმოშობის ახალგაზრდებისაგან ჩამოყალიბებული იქნა ანსამბლი „მესხეთი“. 1987 წელს გამოსცა ამ დიალექტისადმი მიძღვნილი დღემდე ერთადერთი მონოგრაფია და სანოტო მასალა.

მისი პირადი არქივი დაცულია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. არქივი მოიცავს მესხეთში 1961-1983 წლებში მისი 11 ექსპედიციის აუდიო (55 საათი), ტექსტობრივ მასალას (6000 გვერდამდე), საექსპედიციო ფოტომასალას (100-მდე). მის მიერ გამოკვლეული მესხური სოფლების საერთო რაოდენობა 54-ს აღემატება. მესხეთში მაღრაძის ოცდაორწლიანი მოღვაწეობის შედეგად გამოვლენილ იქნა თითქმის ყველა ჟანრის სიმღერა, რომელიც გვხვდება ქართულ ხალხურ შემოქმედებაში. აუდიო ჩანაწერების დიდი წილი მონოფონიურია, მცირე ნაწილში მრავალხმიანობის ნარჩენები ისმინება.

ეთნოფორების ცნობები მრავალხმიანობის შესახებ

ვალერიან მაღრაძე ექსპედიციებში დიდი მონდომებით წლობით ეძებდა ისეთ ეთნოფორებს, ვისაც ჯერ კიდევ ჰქონდა შენარჩუნებული მრავალხმიანი აზროვნება ან ახსოვდა მესხური სიმღერის შესრულების წესის თავისებურებები. მისი საექსპედიციო დღიურების გაცნობისას ხატოვნად ცოცხლდება საუკუნეების დინებაში ჩაკარგული, მივიწყებული მესხური სიმღერები. ასე მიაგნო მან დაბა ასპინძაში 81 წლის დიმიტრი ბერიძეს, რომელიც ერთადერთი იყო ვინც პირველი და ბანის ხმა უმღერა და შეუწყო; სოფელ ჭობარეთში 96 წლის მიხა ჯვარიძეს, რომელსაც ერთადერთს ახსოვდა 12 მესხური სუფრული; 1966 წელს სოფელ ჭობარეთში ერთმანეთს შეახვედრა დიმიტრი ბერიძე და მიხა ჯვარიძე. მაშინ მოხერხდა ორ ხმიანი შესრულების ჩაწერა. ამავე წელს ასპინძაში შეკრიბა 30-მდე მცოდნე უხუცესი მრავალხმიანობასა და სიმღერის შესრულების წესებთან დაკავშირებული საკითხების დასაზუსტებლად.

მესხურ მრავალხმიანობაზე ცნობების ჩაწერა მოხერხდა მხოლოდ ათ სოფელში. ეს ის სოფლებია, სადაც ისლამიზაციის პროცესის მიუხედავად, მოსახლეობის უმეტესობამ შეძლო ქრისტიანობის (მათ შორის ნაწილი კათოლიკური სოფლებია) შენარჩუნება. სავარაუდოდ, ამ ტიპის სოფლებში ყველაზე გვიანობამდე შემორჩა მრავალხმიანი მესხური სიმღერები. დანარჩენი ორმოცამდე დასახლებული პუნქტის უმრავლესობაში არა თუ მრავალხმიანი, საერთოდ, ძველი ქართული სიმღერის გამოვლენა ვერ მოხერხდა. მაღრაძის მიერ ჩაწერილი ეთნოფორების ცნობების თანახმად, მესხეთში მრავალხიანი სასიმღერო პრაქტიკის გაქრობა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან უნდა ვივარაუდოთ. ცხადია, ეს იყო სამ საუკუნოვანი პოლიტიკურ-კულტურული ექსპანსიის შედეგი.

მესხური ხალხური სიმღერის ხელახალი გამრავალხმიანება

XVI საუკუნიდან ამ კუთხის მოსახლეობის ისლამიზაციამ მესხურ მუსიკალურ დიალექტში მრავალხმიანობა ერთხმიანობით ჩაანაცვლა. ამ ცვლილებას თავისი იდეოლოგიური და ღირებულებითი საფუძველი გააჩნდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ რეგიონის პოლიტიკურ-კულტურული რეალობა უფრო დამძიმდა. როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობამ 1944 წ. ეს ტერიტორია მაჰმადიანი მოსახლეობისაგან ერთ ღამეში გაწმინდა, რადგან მისთვის ყველაფერი ის, რაც ოსმალურ გავლენას უკავშირდებოდა, ანტი-საბჭოთა კონტექსტის მატარებელი იყო. საზღვრისპირა რეგიონში ეს აქცია, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის პოლიტიკური და კულტურული საზღვრის გამიჯვნისაკენ იყო მიმართული.

მოგვიანებით სახელმწიფოს

ფერხული „მამლი მუხასა", ლაზარე მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით

იდეოლოგიური და ეროვნული ინტერესების თანხვედრამ ხელი შეუწყო მესხეთში წინაპრების ტრადიციული მუსიკალურ-კულტურული ღირებულებების აღორძინებისაკენ სწრაფვას. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება მესხური სიმღერების ხელახალი გამრავალხმიანება. ამგვარი პარალელი შეგვიძლია მოვძებნოთ ლაზურ დიალექტშიც. საქართველო-თურქეთის საზღვარზე მდებარე სოფელ სარფის ქართულ ნაწილში მცხოვრები ლაზების სიმღერები, რომლებიც დღეს სამ ხმაში იმღერება, XX საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნამდე ასევე ერთხმიანი იყო. მათი გამრავალხმიანება აჭარელი მუსიკის მასწავლებლების მოღვაწეობის შედეგია.

მსგავს მოვლენას ჰქონდა ადგილი მესხეთშიც. სწორედ ამ მიზნით იყო რეგიონში წარგზავნილი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის (საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის კურსდამთავრებული შოთა ალთუნაშვილი (1933-2005), რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა მესხეთს და მის მუსიკალურ კულტურას. მისი ხელმძღვანელობით 60-70 წლებში ამ რეგიონის გუნდები სისტემატურად იღებდნენ მონაწილეობას რესპუბლიკურ ოლიმპიადებში, სადაც წარმოდგენილი რეპერტუარი ზოგადი ტენდენციების გათვალისწინებით უნდა შერჩეულიყო. აქედან გამომდინარე გაჩნდა მონოფონური ვარიანტების ხელახალი გამრავალხმიანების საჭიროებაც.

წლევანდელი წელი მესხური მუსიკალური ფოლკლორის მოამაგეების მხრივ ორმაგად მრგვალი თარიღია. წელს შოთა ალთუნაშვილის დაბადებიდან 90 წელი შესრულდა.

ვალერიან მაღრაძე და შოთა ალთუნაშვილი გახლდნენ პირველი ლოტბარები, ვინც მესხური სიმღერების ხელახალი გამრავალხმიანება სცადეს და ამით შემორჩენილ ჰანგებს ახალი სიცოცხლე შთაბერეს. მათი უდიდესი შრომა ამ მიმართულებით აღნიშვნასა და დაფასებას მოითხოვს. დღევანდელი რეგიონული ანსამბლების რეპერტუარში მათ მიერ აღდგენილი ნიმუშები ჟღერს.

ვალერიან მაღრაძის პირადი არქივის ისტორია

ვალერიან მაღრაძის გარდაცვალების შემდეგ, მისი პირადი არქივი წლების განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა. ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში (2008-2009) ეთნომუსიკოლოგ ნინო კალანდაძის რჩევით დავინტერესდი ამ არქივის მოძიებით. რამდენიმე თვიანი ძიების შემდეგ არქივს მივაგენი. ვალერიან მაღრაძის გარდაცვალების შემდეგ არქივზე ზრუნვა მისი ანსამბლის ყოფილმა წევრმა, წარმოშობით მესხმა ნიკოლოზ ზაზაშვილმა აიღო საკუთარ თავზე. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ეს უნიკალური არქივი დღემდე გადარჩა და შენარჩუნდა. ბაბინებზე არსებული ფონომასალის სიძველიდან და დაზიანებული მდგომარეობიდან გამომდინარე ზაზაშვილმა დედნები საკუთარი ინიციატივით ციფრულ მატარებელზე გადაიტანა. დედნები მის მიერვე გადაეცა საქართველოს საპატრიარქოს არქივს.

ანსამბლი „მესხეთი"

2009 წელს ზაზაშვილმა გაციფრებული ფონო, ასევე, გასაციფრებელი ტექსტობრივი და ფოტომასალა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას გადასცა. ამჟამად მასალა თსკ-ს საკუთრებაა და დაცულია ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის არქივში. აუდიოჩანაწერების ასლი გადაეცა თსკ-ს ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიას.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, კავკასიის უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტსა (სეუ) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2020 წელს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებული პროექტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში დაცული ტრადიციული მუსიკის უნიკალური საექსპედიციო ჩანაწერების – აუდიო და ვიდეოარქივის მასალების გამოცემას, 2021 წელს გამოიცა ორენოვანი ალბომი:

„ძებნად დაკარგულისა“ // IN SEA RCH OF LOST THINGS (ვალერიან მაღრაძის საექსპედიციო აუდიოჩანაწერები მესხეთიდან // VALERIAN MAGHRADZE'S EXPEDITION AUDIO RECORDINGS FROM MESKHETI. [1]

მოცემულ გამოცემაში შევიდა საარქივო მასალიდან გადარჩეული 340 აუდიონიმუში, რომელთაც განსაკუთრებული მხატვრული და საშემსრულებლო ღირებულება გააჩნიათ. სამწუხაროდ, ინფორმაციის ბაბინებიდან ციფრულ მატარებელზე გადატანისას დაიკარგა აუდიონიმუშების აღწერილობა. ამიტომ, მონაცემების სრულად აღდგენა ვეღარ მოხერხდა.

გამოცემის მთავარი მიზანი უნიკალური საექსპედიციო მასალის სამეცნიერო და საშემსრულებლო მიმოქცევაში დაბრუნება, ფართო საზოგადოებისათვის გაზიარებაა.

მონოფონიურ ნიმუშებს შორის მდიდრადაა ცალფა შრომის სიმღერები, რომლებსაც ღირსეული ადგილი შეუძლიათ დაიმკვიდრონ საშემსრულებლო სცენაზე. რაც შეეხება ყოფილ მრავალხმიან ჟანრებს, შესაძლებელია მათი ხელახალი გამრავალხმიანება. მაგრამ აქ საჭიროა მეტად ფრთხილი და სიღრმისეული მიდგომა.

ზემოთ ხსენებული პროექტის ფარგლებში ვალერიან მაღრაძის არქივი სრულად გადავიდა ციფრულ მატარებელზე. ცენტრის სამომავლო გეგმებში შედის მასალის სისტემატიზაცია და კატალოგის შექმნა. ასევე, გაციფრებული ასლების კვლევითი და საშემსრულებლო გამოყენების მიზნით სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმისა და სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტისთვის გადაცემა, რაც რეგიონში არქივის ფართო ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

ვალერიან მაღრაძის საარქივო მასალა დღევანდელობაში უნიკალური წყაროა, რომლის გამომზეურება მნიშვნელოვნად გაამდიდრებს ცოდნას ქართულ ტრადიციულ მუსიკაზე, როგორც ლოკალური, ასევე, საერთაშორისო მასშტაბით.

ბაია ჟუჟუნაძე.
მუსიკოლოგი

---

1 ალბომის შემდგენლები: ვიქტორია სამსონაძე და ბაია ჟუჟუნაძე

ცრემლები



ავთანდილ ყურაშვილი

ბიჭები რიკ-ტაფელას თამაშობდნენ. ის იყო, ერთმა ტაფელი შემართა და რიკს მთელი ძალით გაჰკრა, რომ გზაწვრილზე კოკიანი დედაბერი გამოჩნდა, ისეთი დედაბერი, ხალხურ ზღაპრებში რომ შევხვედრივართ. რიკს აღარ დაუხანებია, გაფრინდა და ზედ ჩვენი დედაბრის კოკაზე გაადინა ტკაცანი. გაბრაზდა დედაბერი, სახე ისე მოუქურუხდა, თვალებიდან სულ ცეცხლებს ჰყრიდა.

ბოლოს, როგორც იქნა, დაწყნარდა, ბავშვები წყევლა-კრულვას გადაურჩენ-თქო, გავიფიქრე, რომ გაბზარული კოკა მწვანედ მოხასხასე ბალახზე მიაგორა, ლეჩაქი წარბებს ზემოდან თვალებზე გადმოიფინა და რიკის გამკრავ ბიჭს მიუბრუნდა: სიმღერის ნიჭი და ძალა მოგცემოდეს, შვილო! შენი დღე და საათი სალამურითა და ლექსით გევლოს კარი-კარ, მუხლის ჩახრა რაა, იმისთვისაც ვერ მოიცალო, მაგრამ შენი მიძინებული ხალხი საღათას ძილიდან ვერა და ვერ გამოგეყვანოს; ხოლო შენ, – მიუბრუნდა მეორე ყმაწვილს, – გაქანებული ზვავის ძალ-ღონე მოგცეს განგებამ, რაც წაღმა დაიწყო, ყველაფერი უკუღმა დაგტრიალებოდესო, უბედურო !

ბიჭები, თითქოს, მხრებით ერთმანერთს შეეწებნენო, მონუსხულები მისჩერებოდნენ იმ დედაბერს, ახლა ლეჩაქი თავსუკან, მხრებზე რომ ჩამოსცურებოდა, ხოლო ცეცხლმოდებულ არაყისფერ მის გადატკეცილ შუბლს უკვე საოცრად მშვიდი, სევდიანი შუქი დასდებოდა. ცრემლს დაემშვენებინა, ცრემლს წაესილა ზღაპრის ის ავად სახსენებელი როკაპი დედაკაცი, იმ წყვილ ცრემლს, თვალებიდან ბალახებში რომ გადმოუცვივდნენ და ბიჭების შიშველ ტერფებთან გაქვავდნენ.

ცოტა ხანს გარინდული იდგა, მერე ის გაბული კოკა აიღო და წყაროს შეუდგა. წყალი ღარიდან კისრისტეხით გადაეშვა კოკაში, ერთიორჯერ ფსკერზე მიბრუნდ-მობრუნდა კიდეც, მხრებით კედლებს მიაწვა, მოსინჯა, გამიძლებს თუ არაო და, როგორც კი ბზარში შემოპარულ მზის სხივს თვალი ჰკიდა, „აბა, ჰე! სადაც შენ შემოხველ მეც იქიდან თუ არ გავილალოო", გაფიქრება და გარეთ გაჭრა ერთი ჰქნა.

წყარო კოკაში ჩხრიალ-ჩხრიალით ჩადიოდა, მერე ბზარს იპოვიდა და, ერიჰაა! კოკიდან თავქუდმოგლეჯილი გარეთ გადმორბოდა.

მინდორში, როგორც ყოველთვის, მზის უამრავი სხივი ადი-ჩადიოდა. წყალიც ხან ერთ სხივს გამოენთებოდა, ხან მეორეს. ბოლოს, ამ განუწყვეტელი ხეთქებისგან თვალის ჩინი აერეოდა, სინათლის მთელ ზღვას გამოუდგებოდა, ჰოდა, მეტი აღარც უნდოდა ერთ პატარა ნაკადულს, უსახელოდ იკარგებოდა მოზურმუხტე ბალახოვანში.

დედაბერმა ერთხანს უმზირა ნაბზარიდან მსხლტომარე ვერცხლისფერ ჭავლს, მერე მიატოვა ღარის ქვეშ შედგმული კოკა და ბიჭებისაკენ იბრუნა პირი.

ბიჭები ქვადქცეულ ცრემლებს ჯერ გაოგნებულები შეჰყურებდნენ, მერე მთელი ძალით მოეჭიდნენ, მაგრამ ძვრაც ვერ უყვეს. არადა, ეს ქვაცრემლები წამიწამ მსხვილდებოდნენ, სიმაღლეშიაც ისე სწრაფად იზრდებოდნენ, გეგონებოდათ, მარმარილოს სვეტები ამ ადგილზე ცისთვის საგანგებოდ შეუყენებიათო. – ერთს გეტყვით, – მიუბრუნდა დედაბერი ბიჭებს. – აი, ეს ჩემი ცრემლები, – მიათითა გაქვავებულ ცრემლებს. - მარტო ჩემი ცრემლები როდია, ისინი მილიონთა ცრემლებია და ამიტომაც იზრდება ასე მალ-მალ. წყევლაც მანამ არ მოგეხსნებათ, ვიდრე ეს მარმარილოს სვეტები ზრდას არ შეწყვეტენ, მთლიანად არ გაქრებ-გადნებიანო.

დედაბერი რის დედაბერია, ასე უეცრად გამოჩენილი, ისევ უეცრად თუ არ გაქრებოდა. ჰოდა, ბიჭებმა ერთხანს კი იდარდეს, რაღა იმ კოკას ვტკიცეთ ტაფელიო. მერე, რის ბიჭები იქნებოდნენ, თუ ასევე დიდხანს გაიყოლებდნენ იმ უცაბედად გამომტყვრალ ჯავრს და ჩვეულებრივად გააგრძელეს მხიარული რიკ-ტაფელა.

ცრემლსვეტები კი იზრდებოდნენ და იზრდებოდნენ. კოკაშიც კვლავ თავპირისმტვრევით ჩა- რბოდა წყალი. ისევე თავ-პირისმტვრევითა და ვაი-უშველებელით გადმორბოდა სინათლის სხივს ადევნებული იმ საბედისწერო ბზარიდან.

უჩვევულო და საკვირველი ის კი არ არის, კოკის გატეხისა და მარმარილოს ცრემლ-სვეტების გაჩენის ამბავი სოფელს რომ არაფრად ჩაუგდია, უჩვეულო და საკვირველი ის გახლდათ, რომ სოფელი ძველებურად კვლავაც ადრე დგებოდა, შეღამებულზე ასევე ადრე წვებოდა, ხნავდა, თესავდა, მკიდა, ლეწავდა, მოჰყავდა მოსავალი, ქორწილი იყო – ქორწილობდა, ტირილი იყო – ტიროდა, მარხავდა, ნადიმობდა,ზეიმობდა... თითქოს, ყოველივე ამას ფხიზელი კაცი უნდა აკეთებდეს და ჩვენი სოფელიც ყველაფერს ფხიზელივით აკეთებდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეძინა. მართალია, მათი გაბმული ხვრინვისგან არც თქვენ და არც ჩვენ ყურსასმელნი არ დაგვსკდომია, მაგრამ სწორედ რომ ეძინა, შენგან მოწონებული ეძინა და მეტი არაფერი.

ერთ დღეს ჩვეულებრივი თამაშისგან დაღლილ ბიჭებს ძალიან მოსწყურდათ, წყაროც იქვე იყო და წყურვილი მოიკლეს თუ არა, უმალ შეეფარნენ ნაკადულის ახლო გრილოვანს. გაბზარული კოკის დანახვაზე ერთი კი გაახსენდათ ის ალმასისცრემლება დედაბერი, წამით სევდამაც დარიათ ხელი, მაგრამ მალე სულ სხვა რამემ მიიქცია მათი ყურადღება: წყალს ლერწმისგან გათლილი პატარა ღერი წამოეღო, ზუსტად ისეთი, სალამურს რომ ვეძახით და ზედ ჩვენი ნაცნობი დედაბრის კოკის ტუჩსა და ყელსშუა გაეხიდა. ნიავის ყოველ სუსტ შემობერვაზეც კი იგი დაახლოებით ასეთ ბგერებს გამოსცემდა: „წინაპართაგან წავიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული...“

ბიჭები კარგახანს მდუმარედ იდგნენ და შეჰყურებდნენ ამ მოულოდნელ სანახაობას. შემდეგ ბევრი აღარ უფიქრიათ, ისე აჰყვნენ სალამურის ხმას: „ხშირად მომეფერების ჩემი კარგი ზმანება და მტანჯავს მწუხარების ყელით გადაქანება...“

ბიჭებს თვალებიდან ცრემლები გადმოუგორდათ. ცრემლებმა ერთმანერთი იპოვეს, შეერთდნენ, გამსხვილდნენ და იმ ცრემლსვეტებისკენ მოკურცხლეს, მარმარილოს ნატიფი ზოდებივით რომ ანათებდნენ იქაურობას. ნამდვილი სასწაული თუ გინდა, სწორედ ახლა მოხდა: ამ ორი ბიჭის ცრემლებმა კიდევ უფრო მაღალი და მშვენიერი გახადა ის ქათქათა სვეტები.

ჩაფიქრდნენ ბიჭები, ხომ არ მოგვაღორაო დედაბერმა. ბოლოს ერთმანერთს გაენდვნენ – არა, არა! ეს კია, ძალიან კარგი იქნებოდა, მთელმა სოფელმა, სალამური რომ ტირის, სწორედ იმგვარად იტიროსო. რიკ-ტაფელა გადადეს და წიგნებს ჩაუჯდნენ.

ჩვენც დაველოდოთ, რასა იქმნან ეს "დაწყევლილი" ბიჭები...

გოგილაძე...

ბუხართან მიმჯდარ ალმასხანს გვერდით ჩარექიანი დოქი მიუდგამს, მეორე მხარეს კი დიაცის წინსაფარივით უსიგრძეგანო ტაბლა გაუშლია. ჯერ სასტუმრო ჭიქა შეავსო, სამეზობლო ჭიქაც გააპიპინა და, ბოლოს, ღვინის ჭურჭელს სამასპინძლო სასმისში გადააყოფინა წეროსავით გაწინწკილებული ყელ-კისერი.

მერე ჯორკოზე შესწორდა, ცალი თვალი წაჭუტა, მეორეთი ჭიქებს გახედა... – ამას კაცი მარტო, უამხანაგოდ, რავა უნდა სვამდეს. – ნაღველი გაერია ხმაში. ადგა, ზურგსუკან კარმა გაიჭრიალა, ჭიშკრისაკენ გააბიჯა და... – გოგილაო, – გასძახა შუკის მეორე მხარეს წამოსკუპული სახლისკენ.

– გადმოდი, კაცო, ჩემსკენ, ლუკმა არ გადამდის ყელში, გადმოდი...

– გოგილა! – ჭიქა აიღო ალმასხანმა.– თუმცა, მეც სულელი ვარ, რისთვის გიხმობდი, ჭამა შენ არ შეგიძლია და სმა, ლაპარაკითაც რა რიგიან-პირიანი მოლაპარაკე მყავხარ... რა იყო, ბიჭო, რას იბჟუტები, დაგეწყო ხო, შე უბედურო! ამინუჩი, ახლავე გისაშველებ, შენც კაცი ხარ, რაღა, შენი პატრონი ქვეყანაც...

– გოგილას აკანკალებული ხელებიდან ელექტროზონარი გამოგლიჯა; იქ, სადაც ადამიანს გული უნდა ჰქონდეს, გოგილას კი პატარა აკუმულატორი ედგა, ერთი ბოლოთი სწრაფად მიუერთა, მეორე ბოლო კი დენსაბუდარში ჩართო. რამდენიმე წუთი და... გოგილას თვალები აუსინათლდნენ, სმენა დაუბრუნდა, ხელების კანკალმაც გადაუარა.

– მოდი და იცხოვრე ამისთანა სოფელში, ამგვარი ხალხით რომ გავსებულა, თუმცა... შენ მაგ ელექტრონი სვი,ბიძი,მე კიდევ... - ჭიქა ასწია ალმასხანმა.

– ჩვენს მშობლებს გაუმარჯოს, ვინც შეგვქმნა, თვალში ვინც გამოგვახედა, ქვეყანა დაგვანახა...

– გმადლობთ, ბატონო.

– შენ რაზე იხდი, ბიჭო, მადლობას. – გაუკვირდა ალმასხანს.

– რა ვიცი, სალაპარაკოში ასე მიწერია, სხვა უკეთესი ვერაფერი მოვნახე.

– ბიჭო, – ჭიქა დასცალა ალმასხანმა. –ბიჭობა ძმობაა, არ გეწყინოს, რა ვქნა ახლა მე, ქალისა და კაცის გაჩენილი მარტო რომ დავრჩი ამ სოფელ-ქვეყანაზე, ჭამა-სმა მაინც შეგეძლოთ, თქვე ოხრისშვილებო.

– ვერ გავიგე, რა მითხარი, ბატონო? – აწრიალდა გოგილა.

– არ წერია, ხო, შენს ლექსიკონში აი სიტყვები? არ იფიქრა, ხო, შენმა გამკეთებელმა, ალმასხანასთან მოგიწევს ქეიფიო?.. გეყოფა ახლა, ნამეტანი არ დაგემართოს. – ელზონარი გამოხსნა, დაკეცა და ჯიბეში ჩაუკუჭა.

– გმადლობთ! – ყურადღება დაუფასა გოგილამ.

– ზრდილობით სავსე კაცი მყავხარ, გოგილა, ახლა შენი სადღეგრძელო უნდა ვთქვა. ძალიან ძნელად სადღეგრძელებელი ბრძანდები, მე და ჩემმა ღმერთმა, როგორ უნდა დაგლოცო, კარქა არც კი ვიცი. მოდი შენს აკუმულატორებს, შენს ტრანსფორმატორებს, შენს მავთულებს, შენს რკინებს, შენს პლასტიკატებს გაუმარჯოს, შენი გამკეთებლისაც იყოს, კაცოო!

გოგილა ფეხზე წამოდგა, თავი ოდნავ დახარა. – უმდაბლეს მადლობას მოგახსენებთ, ჩემო ბატონო.

– უმორჩილესად გთხოვ, დაბრძანდი, გოგილა ჩემო. – შეეპატიჟა ალმასხანი. გოგილა ჩა-

მოჯდა.

– კაცო, ამ სოფელში მარტო ასამდე შენისთანა მანქანაა, არ გეწყინოს, ჩემო გოგილა, ნამდვილად რაც ბრძანდები, იმას თუ გეუბნები ახლა. დააბოტებთ შუკებში, არაფერი თქვენ არ გაწუხებთ, მიდიხართ და მოდიხართ, ბიჯიც არ შეგეშლებათ, ტყულა ფეხსაც არ გადადგამთ გვერდზე, ერთჯერ მაინც მობრუნდით სხვა გზით შინისაკენ, შეეყუდებით შებინდებულზე ამ დენსაბუდარებს და ყლაპავთ და ყლაპავთ ელექტრონს. ისე ჩვენი თავმჯდომარე კი ამოვიდა თქვენს ოტტში დენს გამოგირთავთ, კოლექტივის ყანაში დროზე თუ არ გამოხვალთო... იფიქრეთ, რას გვიზამსო და კიღამ გააფრთხეთ სული, მიწაზე ამოყრილი თევზებივით გაფხარკალათ, დროზე რომ არ მომესწრო, თქვენი ბუსუნი არ იქნებოდა ჩვენს ბარაზე... ხო იკადრეთ და შეიტანეთ თქვენს ლექსიკონში „საზოგადოებრივი მეურნეობა", ჰოდა, ამ ბოლო ჭიქით, იმ ჩვენი თავმჯდომარისა არ იყოს, მართალია, სოფელი რობოტებით აავსო, მართალია ადამიანები ცოტანიღა დავრჩით, ცოცხალ ტვინიანს, აზრი რომ უხიცინებს, აქა-იქ თუ შეხვდები, მაგრამა... რა მოხდა, არ მოგწონს ეს საინძელო თუ რავაა შენი საქმე, რას ჩამოგტირის ეგ ცხვირ-პირი...

– თავმჯდომარეს გაუმარჯოს, ბატონო ჩემო, ნამეტანი გაგრძელდა... წასვლის დროა... მარა, გაუმარჯოს!

– წადი, წადი, თვარა, ერთბაშად დანიშნული გელოდება. რა გაჩქარებს, ბიჭო! ისე თოვს, არცერთი სინა არ დარჩება ამაღამ ჩამოუწყვეტელი, ხვალ მთელი დღე წამოიგანძე და იყავი, იოლი ცხოვრება გაქ, გოგილა, იოლი.

არ გაქ ელექტრონი, არ იმუშავებ, წამოწვები მხართეძოზე და გამაგას... კუბო შენ არ გჭირდება და სასაფლაო, მიგშლიან-მოგშლიან, მიგზეთავენ, მოგზეთავენ და, უკაცრავად, სიკვდილს ვინ დაგაცლის, უმალ ფეხზე წამოგაგდებენ... მაინც მიდიხარ, ხო... წადი, წადი, ჩემო გოგილა, წადი, ძმაო, თუმცა, მოიცა; მოდი, მოიწი აგერ, რაღაც უნდა განახო. - ალმასხანმა გოგილა მეორე ოთახში გაიყვანა.

– ბიჭო, მე რო თვალებს დავხუჭავ, კი არ დავიძინებ, სამუდამოდ რომ დავხუჭავ, კაცო! აი, ამ ყუთში ჩამდებ.– ლამაზად მოხარატებულ-მოჩუქურთმებული სასახლე აჩვენა გოგილას.

– დანარჩენს ხვალ გეტყვი, იმ ადგილსაც განახებ, სადაც უნდა ჩამასვენო...

– მიგშლიან, მოგშლიან, მიგზეთავენ, მოგზეთავენ, სიკვდილს ვინ დაგაცლის, უმალ ფეხზე წამოგაგდებენ. – გაიმეორა ალმასხანის წეღანდელი ნათქვამი გოგილამ.

ალმასხანს გაეღიმა, მხარზე ხელი მოუთათუნა, ლითონის სიცივემ დასუსხა, ნემსებად დააყარა, ხელი უმალ უკანვე წაიღო. – ჭიშკარს ნუ დაკეტავ, იყოს ღია, წესია ასეთი... ახლაც ნუ დაკეტავ, სულიერი მაინც არ ჭაჭანებს... – ცას ახედა, ფიფქებით ამოქსოვილი ზესკნელი მის ქუთუთოებამდე ჩამოზრდილ-ჩამოფუმფულავებულიყო. ალმასხანმა თავი, რაც შეიძლებოდა, უკან გადაიგდო, შუბლი ფიფქების სიგრილეს შეუშვირა... – მარტოდ დარჩენილი კაცის უბედურებაზე დიდი უბედურება არ არსებობს ქვეყანაზეო. – უთხრა საკუთარ თავს, ღია ჭიშკარში გაალაჯა და თავმჯდომარის სახლის ბჭესთან შედგა...

– ბატონო ლეონ, მომკლა კაცო, მარტოობამ, შენ რა შობი, არ გიჭირს?!

– ალმასხან, ეს ჩვენ ვართ, ბიჭო, მარტო, ამხელა სოფელ-ქვეყნის ბატონ-პატრონები?! მთელი ზემო-ქვემო და გაღმა-გამოღმა მსოფლიო მოგვცეცებია: ერთი რით გავახაროთო.

აპ-აპა�ა, შენ რაღაცას ურევ, წადი, გვიანია ახლა, წაუძინე, მე მგონი, დილისთვის გამოკეთდები, თუ არადა, მე ვიცი შენი წამალი. წადი, წადი და მეორედ არ გამაგონო ამგვარი რამ. თუმცა, მოიცა ერთი, ვინ თქვა: ჩვენი მტრობა საშიშია, მეგობრობა კი მომაკვდინებლად საშიშიაო... რომელი ქვეყნიდან იყო მაი კაცი, ხო არ გამახსენებ, შენს კარგად ყოფას?!

ცოტახანს ყურგაფაციცებული იდგა, პასუხი რომ ვერ მიიღო, ეჰო! – აღმოხდა, ხელი ჩაიქნია და კარსუკან გაუჩინარდა.

ალმასხანს ეს უკანასკნელი აღარ გაუგონია, იგი თავმჯდომარის ეზო-კარიდან უკვე გადმოსული იყო, თოვლით დაფარულ გზა-შარას მიუყვებოდა და ნატრობდა: ნეტა, მალე გათენდესო. სურდა, დარწმუნებულიყო, იქნებ, მართლა არ იყო სოფელ-ქვეყანაში მარტო, იქნებ, ამ ერთ ღამეში აივსოო ადამიანებით სოფელი.

თოვდა, ხვავრიელად თოვდა. ალმასხანის ნაფეხურებს წამის უსწრაფესად ავსებდა ფიფქი. წინაც, ბაც სიბნელეში, თვალგაუალი, წარმოსახვითი უკიდეგანო სივრცე განოლილიყო. გათენებამდე კი... უმამლოდ დარჩენილ სოფელში რას გაიგებდი, რა დრო იყო გათენებამდე...

შავლეგო არაგველი

შენ სულ შემთხვევით გაჩნდი ამქვეყნად

შენ სულ შემთხვევით გაჩნდი ამქვეყნად,
შემთხვევით იქეც მთელის ნაწილად,
ეშმაკს არ სურდა მზე რომ გეხილა,
მაგრამ უფალმა შენ არ გაგწირა.

იზარდე, როგორც მწვანე ჯეჯილი,
დაპურდი, ყანა ხარ მოსამკელი,
შენ შენი გზა გაქვს, შენი მიზანი,
შენი გეგმა და შენი სათქმელი.

შემოქმედება ხელობად გექცა,
ვერსად გაექეც დამთხვეულ მუზებს,
შენ რაც უფალმა ტანჯვად გარგუნა,
იმას მკითხველი ქირქილით უმზერს.

გარითმულ აზრებს დიდი ხიბლი აქვს,
ეს კარგად იცი და კარგად გესმის,
მთავარი არი, რას როგორ იტყვი,
სუსტ რითმას კიდევ აიტანს ლექსი.

წერე, როდესაც გრძნობად აღიძვრი,
გრძნობის გარეშე ლექსი ცუდდება,
ჭკუით იყავი, არ აჰყვე, ბიჭო,
ამ წუთისოფლის მრავალ ცდუნებას.

რა დაგიწერა წერა მწერალმა,
ბედ-იღბლის წიგნში, მას ვერ ასცდები,
ზღაპრული ქალი შეგყვარებია
კონტროლდაკარგულ გრძნობა-განცდებით.

ცხოვრება ოკრო-ბოკრო გზა არი,
ხან გაუხეშებს, ხანაც – განაზებს,
ყველაფერს გულთან კი ნუ მიიტან,
ცხოვრება რასაც შემოგთავაზებს.

სიცოცხლე მუდამ ბეწვზე ჰკიდია,
უნდა ხედავდე, უნდა იცოდე,
დამიზნებული ტყვია ვერ მოგკლავს,
მაგრამ ბრმა ტყვია წაგგვრის სიცოცხლეს.

ეჰ, ნეტავ დედას არ გასჩენოდი,
შენ გასაზრდელი მართლაც არ იყავ,
რაც შენ კალამი ხელში აიღე,
წიგნი გაცუდდა, ლექსი შეირყვნა.

დადიხარ, დაგაქვს გულისტკივილით
ის, რაც არ ჰკმარობს მრავალს სიცილად,
ქალს, სამშობლოს და უფალს უმღერე,
შენ სხვა სიმღერის არა იცი რა.

სტუმრად მისული სალხინო სუფრას
სევდას უხამებ, რა ჰქნა, არ იცი,
ისე არასდროს დახარჯავ სიტყვას,
შინაარსისგან იყოს დაცლილი.

დროს ვაჭრის თვალით შენ არ უყურებ,
კარგია, მაგრამ ფუჭად ნუ აბნევ,
კარგი რაცა გაქვს, ვერ დაგიკარგავ,
ცუდზე კი თვალებს ვერ დავიბრმავებ.

მე ხშირად გიმზერ მსაჯულის თვალით,
რომ გიერთგულო ხმალმა ნალესმა,
მშვენიერ ქალს რომ თვალი დაადგი,
რა მოგიტანა მისმა ალერსმა.

ვიცი, რომ მეტყვი: „ – გრძნობა მძაფრდება,
გრძნობა კი ლექსის შექმნაში მშველის“.
რაც არი არი, არ გედავები,
ჩამიქნევია მაგაზეც ხელი.

შენ და კუზიანს მხოლოდ სამარე
თუ გაგასწორებთ, სხვა რა გიშველის,
შენ ამ ცხოვრების გერის გერი ხარ,
ფეხჩაუცმელი და ტანშიშველი.

შენი ქონება თვით შენშივეა,
თუმცა ლექსებით მთა ვერ შესძარი,
სიმდიდრე ისე გარბის შენიდან,
ვით უფლისაგან ქალი მეძავი.

გგონია დარდობ? არა, ღმერთმანი,
ბევრი არ გიცნობს, რით ხარ ნაშენი,
ლექსებს თხზავ, შემდეგ წიგნად გამოსცემ,
ვიღას არ ჩუქნი სულის სამშვენისს.

იმდენი გაქე, არ დაიჯერო,
თითქოს ყველაფრით ხარ ზნეკეთილი,
იმდენ უზნეო თვისებას გამჩნევ,
მეც ვეღარ ვმალავ, – შენი კეთილი.

თუმცა სიმართლე რომ გაგიმჟღავნო
და სიტყვა გითხრა გულის სიწრფელით,
მე შენზე მეტად უსინდისო ვარ,
გმოძღვრავ და მერე არც კი ვწითლდები.

რაღა ვთქვა, გული რით დავიმშვიდო,
როგორ შევცვალო მწარე სიტკბოთი,
შენ რომ მართალი კაცი არ იყო,
მწარე სიმართლეს არც მე ვიტყოდი.

შემინდე, თუკი მკვახედ რამ გითხარ,
უკადრებელი თუ რამ გაკადრე,
შენ მთიულეთის ღვიძლი შვილი ხარ,
სწორედ იქ ზრდიდნენ სამას არაგველს.

ეჰ, რაღა გითხრა, სჯობს დავმდურავდე,
ამდენ ლაქლაქით მთლად გავთავხედდი,
მე ზეციური სული ვარ შენი
და შენთა აზრთა გადმოსახედი.

კარგად მენახე და მინდა გითხრა,
ჩემი ნათქვამი ნუ გაგახელებს,
საიქიოში როცა შევხვდებით,
დანარჩენ სათქმელს იქ მოგახსენებ.

ვერის ბაღში

ვერის ბაღში ეულად იდგა გალაკტიონი,
ციურ სივრცეს შესტრფოდა აუხსნელი ოცნებით,

იდგა, როგორც ღმერთკაცი, როგორც ზეცის გზავნილი,
როგორც ხატის წინაშე გულმხურვალე მლოცველი.

სულშეძრული შორეთში უფლის სახეს ხედავდა,
და ცა ეფერებოდა საფირონის მკლავებით,
იდგა გალაკტიონი, როგორც ქრისტეს ტაძარი,
ზეციური სივრცისკენ გამზირალი თვალებით.

მას ლანდივით მდუმარეს და ლანდივით უჩუმარს,
ზღვა ნიჭს რომ ატარებდა, უდასტუროდ სჯეროდა,
და თუ ქვეყნის მამები მის ნიჭს თაყვანს არ სცემდნენ,
სტუდენტობას უყვარდა საკმარისზე ჯეროვნად.

შორს სივრცისკენ მზირალი მხოლოდ იგი ხედავდა,
ანგელოზთა უჩინარ, უსხეულო სხეულებს.
როგორც თორმეტ მოციქულს ქრისტეს ქადაგებანი,
პოეზია ხვეწავდა მისი სულის ხვეულებს.

იდგა გალაკტიონი ვერის ბაღის წალკოტში,
ხალხი რიდით მზირალი სიმყუდროვეს იცავდა,
ქვეყანაში ვინ იყო საამაყოდ პირველი,
უკეთ ქვეყნის მამებზე საქართველომ იცოდა.

იდგა გალაკტიონი და ამ ქვეყნის არ იყო,
ქრისტეს სამოსახლოში გაეშალა კარავი,
მთელმა ერმა იცოდა, იმხანად და იმჟამად,
საქართველოს არ ჰყავდა მასზე დიდი არავინ.

მადონა კალანდია

რამაზ ბერაძეს

ადრე თუ გვიან ჩამომივლის ვიცი, სიკვდილი,
მიქელა კარზე მომადგება თავის სუდარით,
ვიღაცას, ალბათ, აღმოხდება მწარე ქვითინი,
დაიკიდება ცივ კედელზე ჩემი სურათი.

ადრე თუ გვიან ცივი ზამთრის დაბერავს ქარი
და წაერთმევა გაზაფხულსაც ლამაზი ფერი.
ჩაიკეტება ჩემი ბინის მზისფერი კარი
და გაითხრება მუხათგვერდში საფლავი ჩემი.

ადრე თუ გვიან, გავუყვები გზას იქით სავალს,
ადრე თუ გვიან ყველას ელის ის გზა შორეთის,
კარებთან ძმები დამხვდებიან, და შენაც, რამაზ,
გაგიღიმებ და გეტყვი, ძმაო: აჰა, მოვედი!

მერე მდელოზე ერთად გავშლით ლექსის პურ-მარილს,
და დაიქუხებს ცხრა მთას იქით ექოდ ჩვენი ხმა,
და ეყოლება ლექსის სუფრას ბევრი სტუმარი, –
ტერენტიც მოვა, უსათუოდ – სულიერი ძმა.

შენი უდროო წასვლა ახლა მტანჯავს და მზარავს,
შუაღამეა, ბნელში ვზივარ – სიკვდილთან ვდაობ!
სანამდე თავად გავუყვები ვარდისფერ შარას,
მანამდე ლექსით გაგაცილებ, ალალო ძმაო!

ვაჟა ფაჯიშვილი (დარიალი)

მოეფერება მზე მყინვარწვერებს

უდროოდ დაღუპულ ახალგაზრდებს

მე ჰორიზონტზე ყორღანებს ვხედავ,
ფიქრში დაშლილა დრო სამ ნაწილად,
უიმედობის ნაცრისფერ მყინვარს
მზე გადაუფრენს ცეცხლის არწივად.

მერე დადგება დრო უთავჟამო,
მთიდან გრიგალნი დაუბერავენ,
მოეფერება მზე მყინვარწვერებს,
სიცოცხლეს უარეს გაუბედავენ.

ჩაქრება სხივი და დაიწყება
სამანი ნიში მარადისობის,
აიწონება ყველა ნაბიჯი
კეთილთვისობის და ავთვისობის.

მე ოქროს პინას ვერ გადავწონი,
გამიცრუვდება ალბათ იმედი,
ვერ გავექეცი სამყაროს ღელვას,
და მეც სულების მწყემსთან მივედი.

არ ძალმიძს გავხდე სხივი ნათლისა,
მადლი მომაგე, გადამარჩინე,
შენ დაიფარე უძღები შვილი,
ცხონებისათვის რომ გააჩინე.

უშანგი ჯანგირაშვილი

ჩემი დარდი და ნატვრა

იდეალები ვცალე ყანწივით,
ცხოვრება მაინც ძალით მიმათრევს;
ბრძოლის ჟინი მკლავს მთების არწივის
ანწუხელიძის თავგანწირვამდე!

სააკაძისდარ გმირებს ვაღმერთებ, –
დედა-სამშობლო ფეხზე დგებოდა;
ბრძოლის ველი თუ ვერ დამაბედეს,
ნეტავ პაატას ბედი მრგებოდა!

დიდგორის გორზე დარჭობილ მახვილს
ვკოცნი და... თანაც ცრემლი ჩამომდის, –
აფხაზეთისა ცოცხლად მკლავს დარდი,
ვეღარ ჩავსულვარ სამაჩაბლოში(!)...

,,მესიის მახვილს“ გამოვთხოვ შველას,
ძალას და რწმენას კაცით კაცამდე:
ჩემი სამშობლო კვლავ გაშლილიყოს
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე!!



საკუტარო ჰაგივარა

(1886-1943)

ღამის ორთქლმავალი

გარიჟრაჟის სუსტი სინათლე.
ფანჯრის მინაზე გათოშილი თითების კვალი.
ვერცხლისწყალივით ჩაყურსულან
თოვლით თეთრად წაგრაგნილი
მთების შუბლები.
ძილიდან ჯერაც გამოურკვეველს
დაღლილი ჭრაქის ქშენა მაბეზრებს.
თამბაქოს კვამლში არეული
ლაქის მოტკბო სურნელება
გამშრალ ენაზე მებღაუჭება.
მჭიდროდ ვიხუტებ ვიღაცის ცოლს
და მის კაეშანს ჩემსას ვუწონი.
ჯერ კიდევ არ გაგვივლია იამაშინა.
ქალი ჰაერის ბალიშს პირს ხსნის,
ჩუტავს და გულს ამას აყოლებს...
მომეტებული სევდისაგან
უცებ ორივ ერთმანეთს ვეკვრით,
ალიონზე აკივლებული მატარებლის
სარკმელთან მსხდომნი...
მთის ფერდობზე შეფენილი უცხო სოფელი
ქათქათა წყალიკრეფიებით გადაპენტილა.

გული

რას შევადარო კაცის გული?
ალბათ, ყვავილს ჰორტენზიისას:
ის ხან ატმისფრად შეიფერება,
ხანაც იხვევს მოგონებათა
გადაცრეცილ იასამნისფერს.
გული ბაღის შადრევანსაც მომაგონებს
მწუხრის ჟამისას,
ფეხის ჩუმი ჩქამიც რომ აკრთობს.
გულს დარდი ჭამს
და დარდი აცოცხლებს.
ო, არ ვიცი,
კაცის გული რას შევადარო!
მე ის მაგონებს
ორ მოგზაურს, –
თანამგზავრისგან ხმაგაუცემელს,
დაღონებულს,
ფეხდამძიმებულს...

საკურა

საკურას ირგვლივ შეყრილიყო დიდძალი ხალხი.
იშვებდნენ ლხენით.
მეც გავერიე მათ რიგებში, მაგრამ ამაოდ.
ბედკრული გული დამრჩა ისევ გადარაზული.
საკურას ფიფქებს არ ჩამორჩნენ ჩემი ცრემლები
და გადმომდინდა ნიაღვარი უპეებიდან.
სულო საბრალო.
გაზაფხულის შუადღის სითბო.
ნეტავ რად ვხედავ ყველაფერში სევდის ყვავილებს?

მოგზაურობა

მსურდა ვწვეოდი ფრანგთა ქვეყანას,
მაგრამ მეშორა უზომოდ და შევწყვიტე ფიქრი.
თუკი საფრანგეთს წასვლა მაინც არ მომიხერხდა,
ახალ კოსტუმს მოვირგებ და
ახლოს, მაგრამ ჩემს ნებაზე გავინავარდებ.
მარტოსულობით ბედნიერი გავინაბები
მთის ფერდობზე მოქაქანე მატარებლის
ცისფერ სარკმელთან.
და ფეხშველა ირბენს გულიც
მაისის ცვრით გადანამულ მწვანე ჯეჯილზე.

ოქროს თევზი

ოქროს თევზი კი თავს იწონებს ფერადი ქერცლით,
მაგრამ შეხედე მის სევდისფერ თვალთა მუდარას.
საკურას კვირტნი იფეთქებენ, გაიშლებიან.
მე კი მწუხარე წავიხურებ სევდის სუდარას.

უსულო საგანი

უსულო საგანს მრისხანებით სავსე აქვს გული,
თუმცა სახეზე მხოლოდ მკრთალი სევდა ატყვია,
ჭურჭლის თეთრ თვალში არეკლილი ხეთა სიმწვანე
ცივია, ცივი...

ცრემლები

წავიდა ის დრო, როცა მე მას გულით ვეტრფოდი.
აბა, დღეს რაღად შემომაწვა გულზე ლოდები?
ცრემლის ერთ წვეთსაც ვეღარ დასძლევს მასზე ფიქრები.
აბა, რადა მდის ცრემლის ღვარი დაუშრობელი?
საკუთარ თავთან მიჯნურობა, თვითსიყვარული
არის ამ ცრემლთა მიზეზი და წარმომშობელი.

ლომჭიანჭველა

ორმო-მახის ფსკერზე იცდის ლომჭიანჭველა.
აქ მოელის ჭიანჭველის ფეხის დაცდენას.
მის ხარბ თვალებში საშინელი სიწუწკე ელავს.
აგერ ქვიშაც ჩამოიშალა.
დახამებული გამოვარდა სამალავიდან.
რაღაც მოგრძო მოვარდისფრო მწერს გაუვლია.
მცხუნვარე მზეზე ლაპლაპებენ მისი შავი კუპრი მკლავები.
პატარა მწერის წერტილივით ციცქნა ცრემლები
გაიბრწყინებენ ბალახზე და ორთქლდებიან
თურმე უკვალოდ.

ზღვის სანაპიროზე

დაუღვინებელ და სევდიან თვალთა სიმძიმით
განმარტოვებით დავუყევი სილიან დამრეცს.
შიშველი ფეხის თითებს შორის
სველი სილა მეხრაშუნება.
ყმაწვილკაცობავ!
შენს მუქ ჩრდილში
რა უდროოდ გაფურჩქნულა ჩემი ყვავილი?!
თან როგორ თრთის?! როგორ ცახცახებს?!
ნიჟარით ვხვრეპ სევდის მორევს უკიდეგანოს.
ფსკერი კი არ ჩანს.
ზღვის სილურჯე ირეკლება შუადღის ცაზე.
თავად ზღვა კი დალტობილა ჩემი ცრემლებით.
თევზი ბრკიალებს სველი ტალღით გადარეცხილ
იმ შორეულ სანაპიროსთან.
უხმოდ ვჭრი ქაღალდის გემს,
თან ვაყოლებ გულის ხვაშიადს.
ჰორიზონტს მიღმა იკარგება თოლიათა
ქათქათა გუნდი.

ხეთა ჩრდილში

საუზმის თეფშზე ცივი ხორცი.
სასმისის პირთან შუშხუნებს შერი.
შუა ზაფხული.
საამოა ტყის ცოცხას ჩრდილი.
მოწნულ სკამზე ვსხედვართ ორნი განმარტოვებით,
გრილ ფანჩატურს შეფარებულთ დაგვტკბობია მუსაიფი.
ცელქობს ბაღის შადრევანიც.
სიო გვამცნობს ზაფრანის სურნელს.
თვალწინ მიდგება ვენეციის კარნავალი: ნეტავი რატომ?
შენს ნაზ თვალებში თითქოს ვამჩნევ
ზღვის გადამფრენ ჩიორათა მხიარულ გუნდებს.
მე ეს ბაასი მომაგონებს თხელი შუშის ბურთულით თამაშს.
შენ ალბათ ამჩნევ, მოშრიალე ფოთოლთა მიღმა,
არ ვიცი ჩემი, არ ვიცი შენი ცრემლით დალტობილ
თეთრი ქვებით მოკირწყლულ ბილიკს.

კვლავ შეხვედრა

ხორცი თუ თევზი არ აკლია გაწყობილ სუფრას.
რა გრძელი იყო განშორების გაზაფხული, მერე ზაფხული.
ვერცხლის ჩანგალი გემძიმება ნარნარ თითებში.
თეთრ მარმარილოს ლოდებზე კი კრიკეტები რეკენ ზარებს.

მდინარე ტონეს პირას

ისევ ტონეს სანაპირო.
ეს მერამდენედ დავაპირე თავის დაღრჩობა?
და მერამდენედ მომერია ურცხვი სილაჩრე?
ვერც ის შევძელი, დინებისთვის დამეთმო
და მომეშორა შავი ფიქრები.
ბინდი მეწვია რიყის ქვებით თამაშით გართულს.
გუშინაც, დღესაც.
რად ვერა ვძლევ უსარგებლო გვამის სიყვარულს?
ნაცვლად მოკვლისა გულში ვიკრავ
ტირილით და მაგრად ვიხუტებ.
გაყინული ცივი კოცნით ვკოცნით ერთმანეთს.
შადრევანი შესჩუხჩუხებს ღრუბლიან ზეცას.
აი, წვიმაც დაიწყო და დედამიწას ეღვენთება
ვერცხლისწყალი.
ჭურჭელმა იწყო დაცურება.
ნაზად წაგაძრე სამკაული ნატიფ მაჯიდან,
მიმოიბნია მარგალიტი.
ლამპის ალი ქარით სველდება.
კოხტად ნათალ ქვათა სურნელი ძილს არ აცლის
ჩემს ვერცხლის ფიქრებს.

იაპონურიდან თარგმნა
ივანე ნოზაძემ

ვახტანგ გურული

„კრწანისი სირცხვილად დააწვა
ჩვენს პოლიტიკურ სინდისს.“
არნოლდ ზისერმანი
(1824-1897)

წერილის სათაურში გამოტანილი სიტყვები კონდრატე თათარაშვილს (უიარაღოს) ეკუთვნის. ეს სიტყვები ზუსტად გამოხატავს იმ საბედისწერო მოვლენის არსს, რომელმაც, ფაქტობრივად, განაპირობა ქართლ-კახეთის სამეფოს დაცემა. ტრაგედია დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა, მაგრამ მისი თავიდან აცილება შეუძლებელი გახდა, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. წინამდებარე წერილში სწორედ ამ მიზეზებზე გვექნება საუბარი.

1.აღა მაჰმად ხანის საფრთხე

კახეთის სამეფო სახლის წარმომადგენლების, თეიმურაზ ერეკლეს ძისა (თეიმურაზ II-ისა) და ერეკლე თეიმურაზის ძის (ერეკლე II-ის) პროირანული ორიენტაცია, რომელიც 1735 წელს გაცხადდა, შექმნილ უმძიმეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში მომგებიანი აღმოჩნდა ქართლისა და კახეთის სამეფოებისათვის. პროირანული ორიენტაციის შედეგს წარმოადგენდა ის, რომ 1744 წელს ნადირ შაჰის (1736-1747) ნებით, თეიმურაზ II ქართლის მეფე გახდა, ხოლო ერეკლე II – კახეთისა. ნადირ შაჰმა შესაძლებლად მიიჩნია ის, რომ საუკუნეზე მეტი ხნის წინ დამკვიდრებული საქართველოსათვის დამღუპველი ტრადიცია დაერღვია და მეფეები ქრისტიანებად ასულიყვნენ ტახტზე. ნადირ შაჰი ჩვეულებრივი დამპყრობელი იყო, მაგრამ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ ქართლსა და კახეთში ქრისტიანის გამეფებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ნადირ შაჰთან დამყარებული ურთიერთობა გაგრძელდა მისი მკვლელობის შემდეგაც, ადილ შაჰის (1747-1748) მმართველობის წლებში. ქართლისა და კახეთის სამეფოებისა და ირანის ურთიერთობა მშვიდობიანად ვითარდებოდა ირანის ვექილის, ქერიმ ხანის, მმართველობის პერიოდშიც (1750-1779). ქერიმ ხანისათვის, ცხადია, მიუღებელი იყო ის, რომ 1769 წელს რუსეთის ჯარი საქართველოში შემოვიდა, ხოლო ერეკლე II იმერეთის მეფე სოლომონ I-თან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაება. მიუხედავად ამისა, ერეკლემ შეძლო ქერიმ ხანთან ურთიერთობის მოგვარება. ქერიმ ხან ზენდი ირანის შაჰი ვერ გახდა, მთელი ირანი ვერ დაიმორჩილა. მას დიდ წინააღმდეგობას უნევდა ყაჯართა ტომი. 1779 წელს ქერიმ ხანი გარდაიცვალა. ირანის ტახტის პრეტენდენტთა შორის გამოირჩეოდა ყაჯართა ტომის წარმომადგენელი აღა მაჰმად ხანი. ამიერიდან ერეკლე II-ს ურთიერთობა სწორედ მასთან უნდა მოეგვარებინა. 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლამ აღა მაჰმად ხანი უკიდურესად აღაშფოთა. სანამ აღა მაჰმად ხანი მოწინააღმდეგე ხანებს ებრძოდა, ქართლ-კახეთის სამეფოს დიდი ძალებით ვერ შემოუტევდა. 1779-1783 წლებში, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლამდე, აღა მაჰმად ხანსა და ერეკლე II შორის ურთიერთობა არ გამწვავებულა. ამ პერიოდში აღა მაჰმად ხანს, ქართლ-კახეთის სამეფოს მოსაზღვრე ერევნის, განჯის, ნახჭევნის, ყარაბაღის სახანოებში პოზიციების განმტკიცება არ უცდია, ანუ ქართლ-კახეთის საზღვრებს არ მოახლოებია. მიუხედავად ამისა, ერეკლე მეფე მშვიდად ვერ იქნებოდა. მეფეს მოსვენება განსაკუთრებით გეორგიევსკის ტრაქტატის დადებისა და ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის შემოსვლის შემდეგ დაერღვა. ერეკლე II-მ კარგად იცოდა, რომ აღა მაჰმად ხანი გეორგიევსკის ტრაქტატს თავისი უფლებების შელახვად მიიჩნევდა. ამიტომ იყო, რომ მეფე ქართლ-კახეთის მოსაზღვრე ირანულ სახანოებში პოზიციების განმტკიცებას ცდილობდა და, ამავე დროს, გულმოდგინედ აკვირდებოდა თვით ირანში მიმდინარე მოვლენებს. ქართლ-კახეთის სამეფოს ბედი ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დამთავრდებოდა ირანის შაჰის ტახტისათვის ბრძოლა. ირანიდან მიღებულ ცნობებს ერეკლე II რუსეთის ხელისუფლებას აწვდიდა. 1786 წლის 23 დეკემბერს ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენელმა საიმპერატორო კარზე გარსევან ჭავჭავაძემ რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას ასეთი შინაარსის ინფორმაცია მიაწოდა:

1. აღა მაჰმად ხანმა, რომელსაც 40.000 მებრძოლი ჰყავდა, ქალაქი ისპაჰანი აიღო და ირანი გააერთიანა.

2. აღა მაჰმად ხანმა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს ირანში მყოფი თავადი ციციშვილი შემდეგი დანაბარებით გამოუგზავნა: შაჰის ტახტის მაძიებელს სურდა, ქართველ მეფესთან თანხმობა, მეგობრობა და სიყვარული ჰქონოდა. ამის დასადასტურებლად იგი ერეკლეს სთავაზობდა აზერბაიჯანული სახანოები ისევე შეეერთებინა, როგორც ერევნის სახანო. ცხადია, მეფე კარგად ხვდებოდა, რომ აღა მაჰმად ხანი თვალთმაქცობდა, იგი არასოდეს დაუშვებდა აზერბაიჯანის ირანულ სახანოებზე (განჯის, ყარაბაღის, შაქის, ნახჭევნისა და სხვ.) ქართლ-კახეთის მეფის ძალაუფლების გავრცელებას.

3. აღა მაჰმად ხანი ერეკლეს არწმუნებდა, რომ მას სურდა ყველასათვის დაედასტურებინა თავისი ერთგულება.

ამგვარი კეთილგანწყობის გამოვლენა აღა მაჰმად ხანს იმისათვის სჭირდებოდა, რომ ერეკლე II-ს რუსეთისა და ირანის ურთიერთობაში შუამავლის როლი შეესრულებინა.

1788 წლის 22 მაისს ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენელმა რუსეთის საიმპერატორო კარზე სულხან თუმანიშვილმა, რომელმაც გარსევან ჭავჭავაძე შეცვალა, რუსეთის საგარეო უწყების პრაქტიკულ ხელმძღვანელს ალექსანდრ ბეზბოროდკოს ერეკლე II-ის წერილი გადასცა. მეფე რუსეთის საიმპერატორო კარს აცნობებდა: აღა მაჰმად ხანი მრავალრიცხოვანი ჯარით ქართლის საზღვრებს უახლოვდებოდა. ერეკლე II რუსეთის იმპერატორს ჯარით დახმარებას სთხოვდა, ხოლო თუ სამხედრო ძალით დახმარებას ვერ შეძლებდა, ჯარის დასაქირავებელი თანხა მაინც გამოეგზავნა.

2. აღა მაჰმად ხანის საფრთხე რეალური გახდა

1791 წელს აღა მაჰმად ხანი ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებს მოუახლოვდა. ირანის ხანების ნაწილი მას მორჩილებას უცხადებდა, ნაწილი კი მბრძანებლად არ აღიარებდა. საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით უსასტიკესი შინაომები მიმდინარეობდა. ამ ომების შედეგებზე ბევრად იყო დამოკიდებული ქართლ-კახეთის სამეფოს ბედი.

1791 წლის დამდეგს აღა მაჰმად ხანი ჯარით აზერბაიჯანისაკენ დაიძრა. მისი მიზანი იქაური ხანების მორჩილება იყო. ყარაბაღის ხანმა იბრაჰიმმა და ერევნის ხანმა ჰუსეინმა აღა მაჰმად ხანს მორჩილება არ გამოუცხადეს. ერევნის ხანი თავს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის ვასალად თვლიდა, ხოლო ყარაბაღის ხანს ხოის, ნახჭევნისა და ერევნის სახანოებზე თავად ჰქონდა პრეტენზია და მათი ხანებისაგან მორჩილებას ითხოვდა. აღა მაჰმად ხანი ყარაბაღისა და ერევნის სახანოებზე გასალაშქრებლად მზად იყო. ერეკლე II თვლიდა, რომ საშიშროება რეალური იყო. ყარაბაღის ხანმა იბრაჰიმმა დახმარებისათვის ავარიის ხან ომარს მიმართა, რომელიც სასწრაფოდ დაიძრა ჯარით ყარაბაღის სახანოსაკენ. აღა მაჰმად ხანის გეგმები მის წინააღმდეგ მოწყობილმა შეთქმულებამ ჩაშალა. ხანმა შეთქმულები სიკვდილით დასაჯა. 1792 წელს აღა მაჰმად ხანმა ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე, შირაზის ხანი ლიუტფ ალი დაამარცხა და შირაზი დაიკავა, მაგრამ ყარაბაღის ხანი იბრაჰიმი კვლავ ურჩობდა. აღა მაჰმად ხანი ყარაბაღის ხანის დასამორჩილებლად ემზადებოდა.

ერეკლე II გრძნობდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ძალებით აღა მაჰმად ხანს ვერ გაუმკლავდებოდა. მეფეს რუსეთის დახმარების იმედი ჰქონდა. 1791 წლის 24 აგვისტოს ერეკლე II-მ პეტერბურგში მყოფ არქიმანდრიტ გაიოზს ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ საზღვრებთან შექმნილი ვითარების შესახებ აცნობდა: აღა მაჰმად ხანი ყარაბაღის ხან იბრაჰიმს ეომებოდა; ირანის ხანები, გარდა ურმიისა, აღა მაჰმად ხანს მორჩილებას უცხადებდნენ; თუ აღა მაჰმად ხანი ყარაბაღის ხანს დაამარცხებდა, ქართლ-კახეთის სამეფოზე გამოილაშქრებდა. ერეკლე



მეფე გაიოზ არქიმანდრიტს სთხოვდა, რომ შექმნილი ვითარების შესახებ რუსეთის ხელისუფლებისათვის ეცნობებინა.

რუსეთის საიმპერატორო კარი აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ ღიად ბრძოლას არ აპირებდა. 1792 წლის 8 მაისის რესკრიპტით ეკატერინა II კავკასიის ხაზის მთავარსარდალ ივან გუდოვიჩს ავალებდა, აუცილებლად მიემხრო კასპიისპირეთის ტერიტორიაზე მდებარე ირანის სახანოები: დერბენტის, ბაქოს, შირვანის, თალიშისა და ყარაბაღის. ამ სახანოების ნაწილს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა უკვე მიღებული ჰქონდა, ხოლო ნაწილი რუსეთის მფარველობაში შესვლას ცდილობდა, რაც, ცხადია, აღა მაჰმად ხანის უკმაყოფილებას იწვევდა. რესკრიპტში აღნიშნული იყო, რომ აღა მაჰმად ხანი, იმის გამო, რომ მზად არ იყო რუსეთთან ღია ომისათვის, ცდილობდა თავი რუსეთის მეგობრად წარმოეჩინა.

ეკატერინა II 1792 წლის 8 მაისის რესკრიპტში, ხელსაყრელი პირობების შექმნამდე, ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარების გაგზავნას მიუღებლად მიიჩნევდა, მისი აზრით, ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარების გაგზავნისათვის აუცილებელ პირობად იმპერატორი კავკასიის ხაზის გაძლიერებას მიიჩნევდა.

1793 წლის 1 მარტს ერეკლე II სანკტ-პეტერბურგში მყოფ თავის ვაჟს, მირიანს, შექმნილი ვითარების შესახებ აცნობებდა: აღა მაჰმად ხანი ქართლ-კახეთის სამეფოზე სალაშქროდ ჯარს ამზადებდა; ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვა რუსეთის მეტს არავის შეეძლო. ერეკლე II მირიანს წერდა, რომ გენერალ-პორუჩიკ პლატონ ზუბოვის მეშვეობით ეკატერინა II-თვის დახმარება ეთხოვა. კერძოდ, ეკატერინა II-ს აღა მაჰმად ხანისათვის უნდა შეეთვალა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში იმყოფებოდა და მასზე თავდასხმა არ გაებედა. მეფე მირიანს კიდევ ერთი საქმის მოგვარებას სთხოვდა. 1784 წელს ეკატერინა II-ის მიერ ერეკლე II-თვის ნაბოძები ზარბაზნებისა და ყუმბარების ნაწილი ჯერ კიდევ გზაში იყო, ქართლ-კახეთის სამეფოში არ ჩამოეღწია. ცხადია, აღა მაჰმად ხანის შემოსევის მომლოდინე მეფეს ზარბაზნები ჰაერივით სჭირდებოდა, ზარბაზნები კი რუსეთიდან საქართველოსაკენ ცხრა წლის განმვალობაში „მგზავრობდნენ“.

1793 წლის 18 აპრილს ერეკლე II-მ მირიან ბატონიშვილს მეორე წერილი გაუგზავნა. მამა შვილს საყვედურობდა, რომ სამი თვე ამაოდ ელოდა მის წერილებს. შემდეგ ერეკლე მირიან ბატონიშვილს ქართლ-კახეთის სამხრეთ საზღვრებთან შექმნილი საშიში ვითარების შესახებ ატყობინებდა: გავრცელებული ხმების მიხედვით, აღა მაჰმად ხანი თეირანიდან შირვანის ხანის დასასჯელად მიემართებოდა. მეფე ამ ცნობას ასეთ კომენტარს უკეთებდა: ხმები შეიძლება თვით აღა მაჰმად ხანის მიერ იყოს დარხეული და სინამდვილეში იგი ქართლ-კახეთის სამეფოზე სალაშქროდ ემზადებოდესო. ერეკლე II შვილს უკვე მეორედ სთხოვდა, როგორმე მიეღწია იმისათვის, რომ რუსეთის საიმპერატორო კარს აღა მაჰმად ხანისათვის ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ბოროტ განზრახვაზე ხელის აღება მოეთხოვა. 1793 წლის აპრილისათვის ერეკლე მეფეს 1784 წელს ეკატერინა II-ის მიერ ნაბოძები ზარბაზნებისა და ყუმბარების ნაწილი ჯერ კიდევ არ მიეღო. ერეკლე მირიანს ამ ზარბაზნების თბილისში ჩამოტანის დაჩქარებას სთხოვდა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ერეკლე II მირიან ბატონიშვილს ძალზე რთულ დავალებას აძლევდა. მირიანს საფრანგეთისა და ევროპის სხვა სახელმწიფოების, ასევე რუსეთის მიერ ოსმალეთთან დასადები სამშვიდობო ტრაქტატის (ხელშეკრულების) შესახებ უნდა შეეტყო. მეფე მირიანს წერდა, რომ, მის ხელთ არსებული ცნობით, მომავალი სამშვიდობო ტრაქტატი საქართველოსაც შეეხებოდა. შექმნილ ვითარებაში ერეკლე მეფეს ახალციხის ფაშას აგრესიული პოლიტიკა ძალზე აფიქრებდა. ფაშა ლეკებს აქეზებდა და ისინიც ქართლიდან ადამიანების გატაცებას აგრძელებდნენ. მეფე გამოსავალს ახალციხეში რუსეთის საიმპერეტორო კარის მიერ წარმომადგენლის გაგზავნაში ხედავდა, რომელიც ახალციხის ფაშას მოქმედებას თვალყურს მიადევნებდა. წერილის ბოლოს ერეკლე II მირიან ბატონიშვილს სთხოვდა, ოსმალეთთან ევროპის სახელმწიფოებისა და რუსეთის სამშვიდობო ტრაქტატის დადებას ტყვეების გაცვლა თუ მოჰყვება, შეეცადე, ქართველი ტყვეებიც დააბრუნონ სამშობლოშიო.

1793 წლის 7 მაისს მირიან ბატონიშვილმა რუსეთის იმპერატორ ეკატერინა II-ს თხოვნა მიართვა. ქართველი უფლისწული იმპერატორს მოახსენებდა:

1. ასტრაბადის მფლობელი აღა მაჰმად ხანი, რომელიც იმჟამად ირანის ნაწილსაც და დედაქალაქ ისპაჰანსაც ფლობს, ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმისათვის ემზადებოდა;

2. აღა მაჰმად ხანი ქართლ-კახეთის სამეფოს მოსაზღვრე სახანოების მფლობელებს (ხანებს) აიძულებდა იგი ირანის შაჰად ეცნოთ;

3. ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში იყო, რაც აღა მაჰმად ხანს ძალზე აღიზიანებდა, რაც ქართლ-კახეთს საფრთხეს უქმნიდა;

4. ერეკლე II რუსეთის იმპერატორს სთხოვდა, აღა მაჰმად ხანისათვის განეცხადებინა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში იყო.

მეფის დავალების შესაბამისად, 1793 წლის 7 მაისს მირიან ბატონიშვილმა გენერალ-პორუჩიკ გრაფ პლატონ ზუბოვს თხოვნა მიართვა, რათა მას ეკატერინა II-ის წინაშე ეშუამდგომლა.

1793 წლის 30 მაისს სანკტ-პეტერბურგში უმაღლესმა სამხედრო და პოლიტიკურმა ელიტამ განიხილა ერეკლე II-ის 1793 წლის 1 მარტისა და 18 აპრილის წერილები ბატონიშვილ მირიანისადმი. განხილვისას სამი საკითხი გამოყო:

1. აღა მაჰმად ხანის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოსათვის შექმნილი საფრთხე;

2. ეკატერინე II-ის მიერ 1784 წელს ერეკლე II-თვის ნაჩუქარი ზარბაზნების დარჩენილი ნაწილის კავკასიის ხაზიდან (ეკატერინოგრადიდან) ქართლ-

→

კრწანისი – საქართველოს ცრაგედიის

ზოლო მოქმედების უკანასკნელი სცენა

←

კახეთის სამეფოში გაგზავნა;

3. ბატონიშვილ მირიანის თხოვნა გენერალ-პორუჩიკ გრაფ პლატონ ზუბოვისადმი. განხილვის შედეგად სანკტ-პეტერბურგში დაადგინეს:

1. კავკასიის ხაზის მთავარსარდალ გენერალ-ანშეფ ივანე გუდოვიჩისათვის მიწერილობა უნდა გაეგზავნათ, რათა, აღა მაჰმად ხანის ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმის შემთხვეაში, რუსეთის მფარველობაში მყოფი ქვეყნის დასაცავად შესაბამისი ზომები მიეღო; 2. ივან გუდოვიჩს შექმნილ ვითარებაში გულგრილად არ უნდა ემოქმედა, პირიქით, ყველა ზომა უნდა მიეღო, რასაც კი საჭიროდ მიიჩნევდა;

3. აღა მაჰმად ხანის მოწინააღმდეგე ხანების წასახალისებლად იმდენი თანხა უნდა გამოყოფილიყო, რამდენიც შესაძლებელი იქნებოდა;

4. ივან გუდოვიჩისათვის განკარგულება უნდა გაეგზავნათ ერეკლე II-თვის იმ ქვემეხების გაგზავნის შესახებ, რომლებიც მას ეკატერინა II-მ უბოძა და უკვე საკმაო ხნის განმავლობაში კავკასიის ხაზზე (ეკატერინოგრადში) იყო ჩარჩენილი.

1793 წლის მიწურულსა თუ 1794 წლის დამდეგს (წერილს თარიღი არ უზის) ერეკლე II არქიმანდრიტ გაიოზს ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ საზღვრებთან შექმნილ ვითარებას ატყობინებდა, რომელიც ამჯერადაც საგანგაშო იყო: აღა მაჰმად ხანი ყარაბაღის ხანის იბრაჰიმის წინააღმდეგ საომრად ემზადებოდა და ერეკლე II-გან იბრაჰიმ ხანის წინააღმდეგ ქართული ჯარის გაგზავნას ითხოვდა, რომლის სარდალი მეფის ძე უნდა ყოფილიყო; მეფის აზრით, აღა მაჰმად ხანის წინადადების მიღება არ შეიძლებოდა, რადგან ყარაბაღის ხანის დამარცხების შემდეგ იგი ქართლ-კახეთზე გამოილაშქრებდა. მეფე ერეკლეს აფიქრებდა ისიც, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლით ყველა უკმაყოფილო ძალას, მათ შორის დაღესტნელებს, აღა მაჰმად ხანი დახმარებას აღმოუჩენდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ შექმნილ ვითარებაში რუსეთის მხრიდან დახმარების გარეშე ქართლ-კახეთის სამეფო დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა. მეფე გაიოზ არქიმანდრიტს სთხოვდა, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, ეს ყოველივე რუსეთის ხელისუფლებისათვის ეცნობებინა.

1794 წლის თებერვალში გეორგიევსკში ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი (მინისტრი) რუსეთის საიმპერატორო კარზე გარსევან ჭავჭავაძე ჩავიდა, რომელმაც კავკასიის ხაზის მთავარსარდალ ივან გუდოვიჩს სანკტ-პეტერბურგში გამგზავრების ნებართვა სთხოვა. გარსევან ჭავჭავაძემ ივან გუდოვიჩს აცნობა, რომ მას დედაქალაქში იმერეთის მეფე სოლომონ II-ის, ასევე სამეგრელოსა და გურიის მთავრების რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის შესახებ თხოვნა მიჰქონდა. გარსევან ჭავჭავაძეს ივან გუდოვიჩისათვის უთქვამს: „მართალია, ჯერჯერობით აღა მაჰმად ხანი არავითარ მოთხოვნას არ უყენებს ერეკლე მეფეს, მაგრამ იგი, როგორც ირანის უძლიერესი ხანი, ცდილობს თავი წარმოაჩინოს ირანის მფლობელად. აღა მაჰმად ხანის ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმის შემთხვევაში ერეკლე მეფეს, როგორც რუსეთის იმპერატორის მფარველობაში მყოფს, იმედი აქვს, რომ რუსის ჯარი დაიცავს მას“.

1795 წლის დამდეგს გარსევან ჭავჭავაძემ რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიას მოხსენება წარუდგინა. მოხსენების შინაარსი ასეთი იყო: 1. აღა მაჰმად ხანის ჯარი არდებილში იდგა და ქართლ-კახეთზე სალაშქროდ ემზადებოდა; 2. ერეკლე II დახმარებას რუსეთის საიმპერატორო კარს სთხოვდა – რეგულარული ჯარის 6 ან 5 პოლკის გამოგზავნას ქართლ-კახეთის სამეფოში; 3. რუსეთის ჯარამდე უნდა გამოგზავნილიყო მოხელე, რომელიც ჯარისათვის სურსათს (პურს) დაამზადებდა, მას დახმარებას ერეკლე II აღმოუჩენდა; 4. რუსეთის ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოში 1795 წლის შემოდგომაზე უნდა შემოსულიყო; 5. ერეკლე მეფე 1784 წელს ეკატერინა II-ის მიერ მისთვის ნაბოძები ზარბაზნებისა და ყუმბარების მეორე ნაწილის გადაცემის დაჩქარებას ისევ ითხოვდა, რადგან ისინი კვლავ კავკასიის ხაზზე, ეკატერინოგრადში, იყო ჩარჩენილი.

ივან გუდოვიჩი ირანში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით აკვირდებოდა. 1795 წლის 7 მაისს მან ეკატერინა II-ს მოხსენება წარუდგინა. მოხსენებიდან ირკვეოდა:

1. შირაზის ხანი, რომელიც აღა მაჰმად ხანს სამი წელი წინააღმდეგობას უწევდა, მას ხელში თავისიანებისავე ღალატით ჩაუვარდა და სიკვდილით დასაჯეს;

2. შირაზის ხანთან ანგარიშის გასწორების შემდეგ აღა მაჰმად ხანი ისპაჰანიდან თეირანში გადავიდა და არდებილსა და თავრიზში ჯარი შეკრიბა. მან ქართლ-კახეთის სამეფოს მოსაზღვრე სახანოების მფობელებს, განსაკუთრებით კი ერევნის ხანს, მორჩილებისაკენ მოუწოდა, ნინააღმდეგ შემთხვევაში ომით იმუქრებოდა;

3. აღა მაჰმად ხანი ერევნის, შემახიის, შაქის, ყარაბაღის, თალიშის სახანოების დალაშქვრას, ხოლო შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ომის დაწყებას აპირებდა;

4. გავრცელებულა ხმები იმის შესახებ, რომ აღა მაჰმად ხანმა დერბენტის (დარუბანდის) ხანსა და ტარკის შამხალს მორჩილება მოსთხოვა. ამასთან დაკავშირებით ივან გუდოვიჩს მათთვის განუმარტავს: თუ აღა მაჰმად ხანი მათ მორჩილებას კვლავ მოითხოვდა, პასუხი არ გაეცათ, მხოლოდ შეეტყობებინათ, რომ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო აღა მაჰმად ხანისადმი მორჩილების თაობაზე კავკასიის ხაზის მთავარსარდალს მოლაპარაკებოდნენ;

5. ერეკლე II-ს ირანში ბოლო ხანებში მიმდინარე მოვლენების შესახებ კავკასიის სახის მთავარსარდალ ივან გუდოვიჩისათვის ცნობები მიუწოდებია. აღა მაჰმად ხანის თავდასხმის მომლოდინე მეფეს სწორედ რუსი სარდლის დახმარების იმედი ჰქონია;

6. აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ ომში ქართლ-კახეთის მეფის მოკავშირეები ყარაბაღის ხანი იბრაჰიმი და ერევნის ხანი ჰუსეინი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ. სხვა ხანები აღა მაჰმად ხანს ჰყავდა დაშინებული. განჯის ხანი ჯავადი, რომელსაც წინათ ერეკლე II-თან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, აღა მაჰმად ხანს ემხრობოდა.

შექმნილი ვითარების ანალიზის შემდეგ ივან გუდოვიჩს ქართლ-კახეთის მეფისათვის შეუთვლია, აღა მაჰმად ხანი, მართალია, ძალზე სწრაფად გაძლიერდა, მაგრამ ჯერჯერობით ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ომს ვერ დაიწყებსო. ასეთ დასკვნას გენერალი შემდეგი არგუმენტებით ამყარებდა: ა) აღა მაჰმად ხანის ჯარს მნიშვნელოვანი ნაწილი შიდა ირანში იყო, ნაწილი – ერევნის სახანოში; ბ) ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმამდე აღა მაჰმად ხანს რამდენიმე სახანო, მათ შორის ყარაბაღის, უნდა დაემორჩილებინა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ივან გუდოვიჩი დაასკვნიდა: უახლოეს ხანებში ქართლ-კახეთის სამეფოს საფრთხე არ ემუქრებოდა. როგორც ჩანს, გენერალი მთლად დარწმუნებული არ იყო თავისი დასკვნის სისწორეში და ამიტომ მეფე ერეკლეს რჩევას აძლევდა, უზრუნველეყო სამეფოს საზღვრების დაცვა. ამისათვის მეფეს შემდეგი ღონისძიებები უნდა გაეტარებინა:

1. კავშირი უნდა ჰქონოდა აღა მაჰმად ხანის მოწინააღმდეგე ხანებთან;

2. თუ აღა მაჰმად ხანი ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ომს მაინც დაიწყებდა, ერეკლე II-ს მის დასამარცხებლად ხანები

უნდა დაერაზმა.

როგორც ვხედავთ, ივან გუდივიჩი არცთუ მთლად უსაფუძვლოდ თვლიდა ერეკლე მეფის მოსაზრებას, რომ აღა მაჰმად ხანი ქართლ-კახეთის სამეფოზე მალე გამოილაშქრებდა. მიუხედავად ამისა, გენერალი მეფეს ჯარით დახმარებას კი არ ჰპირდებოდა, არამედ ჭკუას არიგებდა: აღა მაჰმად ხანის მოწინააღმდეგე ხანებს დაუკავშირდი და საერთო მტერი ისე დაამარცხეთო. ივან გუდოვიჩი, ცხადია, რუსეთის საიმპერატორო კარისა და პირადად ეკატერინა II-ის მითითებას ასრულებდა. გუდოვიჩი საკმაოდ ფრთხილი ადამიანი იყო და ასეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად არ მიიღებდა.

ივან გუდოვიჩი იმპერატორს სთხოვდა ებრძანებინა, როგორ მოქცეულიყო, თუ აღა მაჰმად ხანი რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებას აშკარად დაიწყებდა, ქართლ-კახეთის სამეფოს თავს დაესხმოდა და დერბენტის ხანსა და ტარკის შამხალს მორჩილებას მოსთხოვდა.

* * *

ივან გუდოვიჩს 1795 წლის 7 მაისის მოხსენებაში დაყენებული საკითხებზე ეკატერინა II-გან პასუხი ჯერ კიდევ არ მიეღო, როცა 1795 წლის მაისში თეირანში მყოფმა აღა მაჰმად ხანმა არდებილის ხანს ჯარის შეკრება უბრძანა. ერთი ცნობით 50.000, ხოლო მეორე ცნობით 100.000 მებრძოლი უნდა შეკრებილიყო. არტილერიას ფრანგი სპეციალისტები განაგებდნენ. აღა მაჰმად ხანი ჯარის აზერბაიჯანში გადაყვანას აპირებდა, თუმცა იგი ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ იყო გამიზნული.

აზერბაიჯანის ხანების ნაწილი აღა მაჰმად ხანს დაემორჩილა. ირანის შაჰის ტახტის მაძიებელს ყარაბაღის ხანი იბრაჰიმი კვლავაც ეწინააღმდეგებოდა. ავარიის ხანმა ომარმა ივან გუდოვიჩთან და თავის ნათესავ ყარაბაღის ხანთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება არჩია. ძალთა ასეთი განლაგების პირობებში 1795 წლის ზაფხულში აღა მაჰმად ხანმა ყარაბაღისა და ერევნის ხანების წინააღმდეგ ჯარი (8.000 მებრძოლი) გაგზავნა. იბრაჰიმ ხანისა და ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარმა, რომელსაც ალექსანდრე ბატონიშვილი სარდლობდა, ირანელთა ჯარი დაამარცხა.

1795 წლის 20 ივნისს ერეკლე II სანკტ-პეტერბურგში მყოფ გარსევან ჭავჭავაძეს სთხოვდა, როგორმე მოეხერხებინა მეფის და ივან გუდოვიჩის პირისპირ შეხვედრა. ეს შეხვედრა არ შემდგარა.

1795 წლის 22 ივნისს გარესევან ჭავჭავაძე ალექსანდრ ბეზბოროდკოს წერს: მეფე წერილებს მიგზავნის, პასუხს მთხოვს, პასუხი კი ვერ გამიცია, იქნებ წყალობა მოიღოთ და საქმეზე სალაპარაკოდ მიმიღოთო. ალექსანდრ ბეზბოროდკომ ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამჯერადაც გააწბილა.

აღა მაჰმად ხანი დიდი სიფრთხილით ცდილობდა ირანსა და სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ეკატერინა II-ისა და ივან გუდოვიჩის პოზიციის გარკვევას. 1795 წლის ზაფხულში ხანმა კავკასიის ხაზის მთავარსარდალთან ორი წარმომადგენელი გაგზავნა. ირანელთა კავკასიის ხაზზე გამოცხადება ოფიციალურად ორი მიზეზით იყო განპირობებული: 1. ივან გუდოვიჩს აღა მაჰმად ხანის ელჩები რუსეთის საიმპერატორო კარისათვის უნდა წარედგინა; 2. აღა მაჰმად ხანის ერთგულ აბას ხანი უნდა გაეთავისუფლებინათ, რომელიც ძმამ, აღა მაჰმად ხანის მოსისხლე მტერმა, მურთაზ ყული ხანმა, კავკასიის ხაზზე, ასტრახანში, მძევლად ჩაიყვანა.

1795 წლის ივლისის დამლევს აღა მაჰმად ხანის ელჩები ასტრახანისა და ყიზლარის გავლით გეორგიევსკში ივან გუდოვიჩთან გამოცხადდნენ და მოახსენეს, რომ ისინი ირანის შაჰის მივლენილნი იყვნენ. ამასთან ერთად, მათ კავკასიის ხაზის მთავარსარდალს ირანის ვეზირის წერილი გადასცეს. ივან გუდოვიჩმა აღა მაჰმად ხანის ელჩებს განუცხადა: აქამდე არ იცნობდა არც ირანის შაჰს და არც ირანის ვეზირს, ამიტომ მის ელჩებს ირანის შაჰის წარმომადგენლებლად ვერ სცნობდა და მათ რუსეთის საიმპერატორო კარზე ვერ გაგზავნიდა, რადგან მათ თან არ ჰქონდათ წერილები არც რუსეთის იმპერატორ ეკატერინა II-ის და არც კავკასიის ხაზის მთავარსარდლის სახელზე; აბას ხანის გათავისუფლება იმპერატორის ბრძანების გარეშე შეუძლებელი იყო. ივან გუდოვიჩი აღა მაჰმად ხანის ელჩებს კერძო პირებად მიიჩნევდა, რომლებიც თავიანთი ნებით ჩავიდნენ გეორგიევსკში და ამდენად, მათ უფლება ჰქონდათ დარჩენილიყვნენ იქ ან სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. აღა მაჰმად ხანის ელჩები დერბენტის გავლით ყუბაში ჩავიდნენ. ყუბანიდან ელჩებმა ივან გუდოვიჩთან ვიზიტის შედეგების შესახებ მბრძანებელს აცნობეს, თავად კი, შემდგომი განკარგულების მიღების მოლოდინში, იქვე დარჩნენ.

აღა მაჰმად ხანი ივან გუდოვიჩის პასუხით შეურაცხყოფილი დარჩა და გამწარებულმა შური სამხრეთ კავკასის სახანოებზე იძია. მან ხანებს მორჩილების გამოცხადება აღარ აკმარა და მძევლები მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ომითა და განადგურებით ემუქრებოდა. ხანების უმრავლესობამ აღა მაჰმად ხანის ულტიმატუმი არ მიიღო. მხოლოდ დერბენტის ხანი მერყეობდა. განჯის, შაქისა და შემახიის ხანებმა თავი ირანის ვასალებად გამოაცხადეს.

(დასასრ. შემდეგ ნომერში)

„კნეინა ქეთევანი“ - იკოთის სასახლის ერთ-ერთი პირველი ეშლობელი

ახალგორის მუნიციპალიტეტის ისტორიულ სოფელ იკოთს ჯავარად წამოსდგომია ქსნის ერისთავთა საზაფხულო ციხე-სასახლე, რომლის ბოლო მეპატრონე მიხეილ ბაგრატიონ-მუხრანბატონი იყო...

როგორც ხელოვნებათმცოდნე ნინო ერისთავი აღნიშნავს, სასახლის მშენებლობა სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა: *„შესაძლოა, ქვედა, სარდაფისა და ძირითადი სართულის გარკვეული ფრაგმენტები XVIII საუკუნეს ეკუთვნოდეს, ხოლო XIX საუკუნის პირველ ნახევარს კი ნაგებობის დანარჩენი ნაწილი“.* იკოთის საჯარო სკოლაში დაცული პასპორტის მიხედვით (შედგენილია 1844 წელს), ირკვევა, რომ ერისთავებს სასახლის მშენებლობა 1840 წელს დაუსრულებიათ, ხოლო მისი ერთ-ერთი პირველი მფლობელი გახლდათ გიორგი იესეს ძე ქსნის ერისთავი. „დიდი კნიაზი“ გიორგი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს სარდალი, სენატორი, რუსეთის იმპერიის ინფანტერიის გენერალი და, ამავე დროს, „ატენის ბატონი“. ქსნელ თავადს ცოლად ჰყავდა გიორგი XII-ის ასული გაიანე ბატონიშვილი, რომელთანაც შეეძინა ვაჟი – ზაქარია და ქალიშვილები: ქეთევანი, ანა (თუთა), მარიამი. ზაქარია სამხედრო პირი იყო, პოლკოვნიკი და ზაქათალაში ლეკებთან ბრძოლას შეეწირა. უფროსი ქალიშვილი ქეთევანი ცოლად ჰყავდა გენერალ-მაიორ მამუკა (მაკარ) ორბელიანს. სწორედ მათ ხვდათ წილად „იკოთის მამული“, რომელსაც ამშვენებდა ჯერ მომცრო სახლი, შემდეგ კი მასზე დაშენებული სასახლე.

ქეთევანმა 15 შვილი აჩუქა ორბელიანებს, მათ შორის ქალიშვილი ალექსანდრა, ლევან მელიქიშვილის მეუღლე. ლევანი რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი იყო, გენერალ-ადიუტანტი, მისი სარდლობით აიღეს ღუნიბის ციხე, ხელმძღვანელობდა დაღესტნის ოლქს და იყო ამ ოლქის ჯარების სარდალი, კავკასიის არმიის ჯარების მთავარსარდლის მოადგილე... და, რაც ჩვენთვის უფრო საყურადღებოა, – ლევანი ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლო მეგობარი გახლდათ...

„ლევან, ლევან! გავგიჟდი, მეტი არა ვარ! ეკატერინა იქ არის და მისმა საყურეს თამაშმა გადამრია! ღვთის განაჩენი კაცი ვერ ნახავს ვერაფერს უკეთესს“ – უთქვამს ჭავჭავაძის ასულით აღფრთოვანებულ ტატოს ორბელიანების სიძისთვის.

„ვითა პეპელა
არხევს ნელ-ნელა
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,
ასე საყურე,
უცხო საყურე,
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.“

ქეთევანისა და მაკარის ერთ-ერთი ვაჟი – ვანო ორბელიანი რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის გმირი იყო. ივანეს ცოლად ჰყავდა მარიამ დიმიტრის ასული სვიატოპოლკ-მირსკაია, რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის და.

ქეთევანი თავისი დროისათვის საკმაოდ ცნობილი ქალბატონი იყო, ახლო ურთიერთობა ჰქონია ცნობილ დრამატურგთან გიორგი ერისთავთან და აკაკი წერეთელთან. 1850 წლის 2 იანვარს კომედია „გაყრაში“ ითამაშა თათელას როლი, ხოლო 3 მაისს „დავაში“ – გამდელის, ლომისეულის როლი. „ადრე ისე სასირცხვილოდ მიაჩნდათ ჩვენში თეატრის სცენაზე გამოსვლა, რომ თავის მოჭრა ეგონათ. ვორონცოვის დროს, რომ „გაყრა“ ითამაშეს, პირველი მაგალითი კნეინა ქეთევანმა უჩვენა ყველას; ითამაშა და მით აგრძნობინა სხვებსაც, რომ აქ სასირცხვო არა არის რაო“ – წერდა აკაკი წერეთელი 1897 წლის გამოსათხოვარ წერილში.

დიდად დაფასებული ქალი იყო კნეინა ქეთევანი... რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მეორის ბრძანებით „კავალერსტვეინნაია დამას“ ხარისხი ჰქონდა ნაბოძები... მეორე ქალბატონი საქართველოში, ვისაც იმპერატორისგან ეს პატივი ერგო, მისი ქალიშვილი ალექსანდრა ორბელიანი გახლდათ, მელიქიშვილების რძალი.

ერთ დროს მდიდარ ერისთავის ასულს გარკვეული პერიოდის განმავლობაში სიღარიბეშიც უცხოვრია. თანაც ისე გაღარიბებულა, რომ მართლმსაჯულებას მოვალეებისაგან შეწუხებული თავადის ქალი შეუძლებელ მოვალედ უცვნია...

რუსეთის იმპერატორის საქართველოში სტუმრობის დროს, ნადიმზე პირველი ცეკვა სწორედ საპატიო სტუმარს უნდა შეესრულებინა. ცეკვა პოლონური უნდა ყოფილიყო (გავიხსენოთ, რომ რუსთა ხელმწიფეს ჰქონდა პოლონეთის მეფისა და ფინეთის ჰერცოგის წოდებებიც)... ცეკვის დროს ალექსანდრეს ქეთევანი გამოუწვევია. კოლა ერისთავის მოგონებით: „ქეთევანი მაშინ იქნებოდა თითქმის 73 წლისა, ბრძანდებოდა დეკოლტეთი და გულზე ჰქონდა გადაკიდებული დიდი ლენტი – ნიშანი მისი ხარისხისა. ერთხელ შემოუარეს დარბაზს სიჩუმით, მეორეთ ქეთევანმა მიმართა ხელმწიფეს და უთხრა: „თქვენო საიმპერატორო აღმატებულებავ, თქვენ ცეკვავთ შეუძლებელ მოვალესთან“. იმპერატორი დუმდა, მაგრამ, როცა რამდენჯერმე გაუმეორა, უპასუხა: თქვენ არ შეიძლება იყოთ შეუძლებელი მოვალე, თქვენ 10 დესეტინა (1 დესეტინა ძველ რუსეთში 1, 09 ჰექტარს უდრიდა) ნავთობიანი მიწა გაქვთ ბაქოში.“ ქეთევანს საშუალება მიეცა ვალებიც გაესტუმრებინა, მემკვიდრეებსაც დახმარებოდა და ასი თუმანი ქართული დრამატული საზოგადოებისთვისაც შეეწირა. „მაშინდელი საზოგადო ცხოვრებისთვის დიდად მნიშვნელოვანი“ ეს ასი თუმანი, ქეთევანის იმ დროინდელ ქონებასთან შედარებით „ზღვაში ერთი წვეთი“ ყოფილა...

დაბოლოს, ისევ აკაკი: „კნეინა ქეთევანიო“, რომ ახსენებდნენ, მთელმა აღმოსავლეთ ქართველობამ იცოდა, თუ ვინ იყო ის „ქეთევანი“... დიდი პოეტი „კნეინა ქეთევანს“ იმ ძველი დიდების უკანასკნელ „ნიშთთაგანად“ მიიჩნევდა, „რომელთაც დღეს ვეღარა ვხედავთ და რომელთა თვისებას შეადგენდა მახვილი და გამჭრიახი გრძნობა-გონება, ხასიათის სიმტკიცით დაგვირგვინებული“.

ქეთევან ერისთავი 1897 წელს 91 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია მეუღლის – მაკარ ორბელიანის გვერდით სიონის ტაძარში. თუმცა მისი ნატვრა ყოფილა ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში – იკოთის მონასტერში დაეკრძალათ, რომელიც დღეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს.

დავით ახლოური,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

წეს-ჩვეულებები

სამცხე-ჯავახეთში ქორწილის წესი და სუფრული

ვაჟი თუ ვინმემ დაასახლა, ჯერ რძლის სანახავათ წავა ან მამამთილი ან მაზლი ვინმე და წაუღებს ერთ ხელ ტანისამოს და წავა, მერმე ნიშანს წაუღებენ ორი ან სამი კაცით და მთელ ტანთს პურით და არაყით თითო კაცზედ. მერმე, ერთი კვირის შემდეგ, გადასაწყვეტს წაუღებენ და ქორწილის ტანთს რძალს. ქორწილისთვის მოიწვევენ მთელ ნათესავებს, განაყოფებს და მეზობლებს. შეაგროვენ მაყრებს, მოამზადებენ მეფეს, ნათლიას და მეფეს რომ გაამგზავრებენ, მოხუცებულები მღერიან გასამგზავრებელ სიმღერას:

მეფეევ წადი, ღმერთმან გაგიმარჯოს,
დღე მოგცეს და დარი კარგი,
სამოთხისა კლიტე მოგცეს,
სულ თვალი და მარგალიტი.

სამჯერ გამეორებით მივა პატარძლის სახლში, იქ ჯვრის წერვა იქნება და ქორწილი, ქეიფი და მევერე დღეს გაისტუმრებენ იგივე გასამგზავრებელი სიმღერით. როცა მოვა მეფე-პატარძალი თავის სახლში, მიეგებებიან მეფე-პატარძალს ხალხი და სიმღერით შეიყვანებენ:

მეფეო, შენსა გვირგვინსა,
ღვთისაგან ჯვარი სწერია.
(სამჯერ იმეორებენ).
მეფეო ყელი მიგიგავს სუროსა ...
გამჩენმა ჯვარი დაგწეროს...
შენა და შენი მეუღლე
ერთმანეთ შეგაბეროსა...
(სამჯერ იმეორებენ).

შემდეგ მღერიან:

ნეტავი მეფის დედასა,
ვარდნი უსხედან კერასა.
ნეტავი დედოფლის დედასა,
თაგვნი ურბენენ კერასა.

შეიყვანენ მეფე-პატარძალს, დასვამდნენ ტახტზედ და მუულოცავდნენ. და შემდეგ დაიწყობა ქორწილი, სმა-ჭამა, ქეიფი. პირველათ ადღეგრძელებდნენ მეფე-პატარძალს, შემდეგ მოყვრებს, ნაწოვებს. დაიწყობა სუფრული (დიდება და მადლი ღმერთსა, შვიდჯერ იძრა დედა მიწა... დასავლეთში ომი მოხდა, აღმოსავლეთ მეფე დაჯდა, რომ შესრულდა ნება ხვთის) ...

მთქმელი ***პეტრე სუდაძე****, ჩაიწერა* ***ვახტანგ სუდაძემ*** *1937 წელს. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ე.დ N3485*

ტირილი მიცვალებულზე

ჩვენში მძიმე ავადმყოფს თანაუგრძნობენ მეზობლები, ნათესავები და მისი მეგობრები, რომლებიც ხშირ-ხშირად მიდიან სანახავად და ოჯახს ავადმყოფის გარდა თუ მუშახელი არ ჰყავს, საქმეშიც ეხმარებიან.

სოფელში იციან შინა წამლობა და ამ წამლების დამზადებაში დახელოვნებული არიან განსაკუთრებული პირები, ხანში შესული ქალები და ვაჟები. წამლებს ამზადებენ სხვა და სხვა ბალახის ფესვებიდან და ყვავილებიდან.

სოფელ ღრელის მცხოვრებთა შინა ექიმებში დახელოვნებული არიან შემდეგი პირები: ტასო მურვანიძე, ელენე სუდაძე, სოფო სუდაძე და სხვანი.

თუ პიროვნებამ ავადმყოფობა ვერ გადაიტანა და მიიცვალა, მაგალითად, ტარასტა ზარს პირველათ რომ შემოჰკრავს, ტარასტა დარეკავს ეკლესიის ზარს. ზარი ისეთ ფორმებში უნდა დარეკოს, რომ ხალხმა გაიგოს სიკვდილის ნიშანი. უნდა გაჩერდეს მანამდე, სანამ ჰაერში არ მისწყდება ზარის ხმა, ასეთი წესით ზარი უნდა დარეკოს სამჯერ.

ხალხი ზარის ასეთ ხმას რომ გაიგებს, მიხვდება, რომ სოფელში ვიღაც გარდაიცვალა. იმ წუთშივე სამუშაოს გაანებებენ თავს და დაბრუნდებიან ოჯახებში, სოფლის მთელ მცხოვრებთ ემჩნევათ დაღონება, ბავშვებიც კი სათამაშოებს ანებებენ თავს და რაღაც გაკვირვებაში არიან, თუ მათი მშობლები, ძმები, დები და მეზობლები რატომ სდუმან.

პიროვნება, რომელიც მიიცვალა, სიცოცხლისას შეიძლება რომელიმე მეზობელზე ან ნათესავზე წაჩხუბებული იყო, მაგრამ მეზობელი იმ უსიამოვნებას არაფრად სთვლის, სამუშაოს ანებებს თავს და ბრუნდება სახლში მეზობლების, ანდა მიცვალებულის საპატივსაცემოდ.

სოფლის მცხოვრებნი ხანში შესული დედაკაცები და მამაკაცები მიდიან მიცვალებულის ოჯახის წევრების გასამხნევებლად. ოჯახში მისვლისას, ოჯახის წევრებს ყველას ჩამოართმევენ ხელს, შემდეგი სიტყვების თანდართვით: შეინყალოს ღმერთმა, უკან დარჩენილები გიცოცხლოთ, იმისი დანაკლისი დღე ღმერთმა თქვენ მოგცეთ“. და პიროვნება გაერევა იქვე ჯგუფად მდგომ ან ტახტზე მჯდომ ხალხში.

ხალხი საუბრობს ცხედრის შესახებ თუ მას თავის სიცოცხლისას რამდენი კარგი საქმე გაუკეთებია. ცხედარს გვერდით უზის რამდენიმე გულშემატკივარი მახლობელი და იმათგანი, ვინც უფრო მახლობელი და გულშემატკივარია, ტირილით მოსთქვამს. ცხედრის პატრონი თუ შეძლებულია, ახალციხეში გამოგზავნიან და აყიდინებენ კუბოს და თუ ღარიბია, ისევე უბრალო ფიცრებისგან შეუკრავენ კუბოს.

ორს ან სამ დღეს მიცვალებულს მიტომ დასტოვებენ, რომ შორი ნათესავები მოუვიდეთ. მიცვალებულის სამარის გასაჭრავათ ფულით არ დაიქირავებენ მუშას. თვით მეზობლებიდან ცხრა-ათი კაცი გავა სასაფლაოზე და სამარეს ამოსჭრიან მიცვალებულის წინაპრების გვერდით. იმავ დროს მიცვალებულის პატრონი ტაბიკზე დალაგებულ ხუთ-ექვს პურს, ერთ თეფშს, ყველს და ერთ ბოთლ არაყს გაატანს სასაფლაოზე. ეს იმიტომ, რომ სამარის ამომჭრელმა ხალხმა რომ შეისვენოს, თითო ჭიქა არაყი დალიოს და შენდობა შეუთვალოს მიცვალებულს.

მიცვალებულს მღვდლის წინამძღოლობით ჯერ გადაასვენებენ ეკლესიაში. მღვდელი იქ ლოცვას წაუკითხავს და იქიდან გაასვენებენ, მიწას მიაბარებენ.

მიცვალებულის პროცესია მიმდინარეობს შემდეგნაირად: მიცვალებულის გამოსვენებისას წინ მიუძღვის ხატებით ხელში რამდენიმე კაცი. ერთ კაცსაც თავზე დანხობილი მიაქვს კუბოს სახურავი, ოთხ კაცს მიაქვს მხრებზე შედგმული კუბო მიცვალებულის.

მიცვალებულს რომ მიაბრიან მიწას, ხალხი პირდაპირ დაბრუნდება მიცვალებულის სახლში, იქ გამზადებულია საჭმელები და არაყი. იმ დროს ძროხასაც კი ჰკლავენ და მისულ სტუმრებს უმასპინძლდებიან. ჩვენში ფულადი დახმარება არ იციან, მხოლოთ საქმით კი ეხმარებიან.

წინეთ იცოდნენ მიცვალებულის პურის ჭმეულება: პიროვნების გარდაცვალებიდან მეშვიდე დღეს, მეორმოცე დღეს და წლის თავზე. ეხლა ეს წესი უკვე გადავარდნილია.

ჩაიწერა ***ვახტანგ სუდაძემ*** *1937 წელს. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ე.დ N3485*

(გაგრძ. დასაწყ, იხ. N 10,12,13. 2022 წ.)

მღვიმე-ქალაქი ვარძია და ახალქალაქი

ეს ვარძია იყო, ანტიკური მღვიმე-ქალაქი, რომელიც ქართველებისა და სომხების წარმოდგენით, მეთორმეტე საუკუნეში თამარ მეფის მამას დაუარსებია და შემდეგ მეფის ასულს დაუსრულებია. გადმოცემით ეს ადგილი თამარის რჩეული რეზიდენცია ყოფილა; გიჩვენებენ გამოქვაბულს, სადაც იგი ზამთრობის ჟამს ცხოვრობდა, ტერასას, სადაც იგი ზაფხულის დღეებს ატარებდა და სამლოცველოს, სადაც მისი დიდებული სამეფო კარი იკრიბებოდა. ასევე ცნობილია აკლდამა, სადაც მისი ნეშტი განისვენებს. ამ უკანასკნელზე, როგორც ჩანს, არ ჰქონია ცნობა ადგილობრივ მღვდელს, თუმცა დიუბუას ერთი უცნაური ნაგებობა საფლავად მიუჩნევია, რომლისთვისაც მას მცირე საცავში ეკლესიის შიდა მხარეს მიუკვლევია.1 ვარძია ფაქტობრივად თამარის ქალაქია, ისევე, როგორც საქართველოში ყველა ციხე თამარის ციხეა და ყოველი სიძველე დიდი დედოფლის სახსოვარია.

გზას ციცაბო კლდის ლოდებს შორის ავუყევით, სანამ იგი შვეულ კედლად არ აღიმართა. აქ იწყება გამოქვაბულების არათანაბარი ჰორიზონტალური რიგი, რომელიც აღმოსავლეთითაა გადაჭიმული, სადაც მკვეთრად ეშვება ციცაბო კლდეები. ვიწრო ბილიკი მრავალწახნაგა ნაგებობასთან სრულდება, რომლის სახურავიც ჩამონგრეულა. ეს ნაგებობა ან ახალია, ან საფუძვლიანად შეუკეთებიათ; იგი ერთგვარი კარიბჭესავითაა, რომელიც გამოქვაბულებში შესასვლელს წარმოადგენს. როგორც კი ჭიშკარს გაივლი, საცალფეხო ბილიკზე ხვდები, რომელიც ნაწილობრივ კლდეშია გამოკვეთილი, ნაწილობრივ კი უხეშად ნაშენ აგურის კედელს ეყრდნობა, რომელიც კლდის უსწორ-მასწორობას ერწყმის. ყველაზე ციცაბო ადგილებში ეს საცალფეხო ბილიკი გვირაბად იჭრება კლდეში და ნებისმიერ ადგილას შეიძლება მისი ჩახერგვა.

არქიმანდრიტი და დიაკონი. ვარძია



ვარძია. მღვიმე ქალაქი

ამგვარად, ჩანს, რომ ძნელი იქნებოდა ვარძიის ალყაში მოქცევა, ყოველ შემთხვევაში, გამოცდილი საშუალებებით. თუმცა, ვიღაც იხსენებდა, რომ თემურ ლენგს მარჯვე ხერხისთვის მიუმართავს ქართველთა დასამორჩილებლად, როცა მათ გამოქვაბულებისთვის შეუფარებიათ თავი. მას, მათ თავზე, კლდეზე, ხარაჩოები ჩამოუშვია, საიდანაც მისი მებრძოლები ხალხით სავსე გამოქვაბულებში ხტებოდნენ ან ცეცხლს უყრიდნენ თავზარდაცემულ დამხვდურს. ამბობენ, რომ თავად ვარძია ამ დამპყრობლებს აუღიათ, თუმცა კი არ ვიცი რა გზებით.

დაგვიხვდნენ მოხუცი არქიმანდრიტი და მისი დიაკონი, რომლებიც ამ კაი ხნის გაუდაბნოებული ალაგის ერთადერთი მაცხოვრებლები იყვნენ. ისინი მომლოცველთა ხანდისხანობით შესაწირით ირჩენენ თავს, რომლებიც ხშირად სტუმრობენ იქაურობას. ორთავე თანაბრად ჩაფლულიყო უკიდეგანო უმეცრებაში და დიაკვანს იმგვარი დარცხვენილი ყაიდის ქცევა ჰქონდა, კლდეებში მობინადრე არსება გეგონებოდათ. მათ ვარძიის სახელის მნიშვნელობა გამოკკითხე, რომელიც დიუბუას თანახმად, ქართულადაც და სომხურადაც, ვარდების ციხეს ნიშნავს. მათ კი განგვიმარტეს, რომ სახელი „აქ ვარ ძიასგან“ დარქმევია. ჩვენს სახეზე აღბეჭდილი ეჭვის მიუხედავად, ისინი ჯიუტად იცავდნენ სიტყვის ამ უჩვეულო წარმომავლობას.

ერთხანს საცალფეხო ბილიკს გავუყევით, რომლის ზემოთ და ქვემოთ გამოქვაბულები იყო. შემდეგ შთამბეჭდავ, კამაროვან აივანს მივადექით, რომლის შიდა მხარე და სახურავი კლდეში იყო ნაკვეთი, დანარჩენი ნაწილები კი ქვით ნაშენი. საცალფეხო ბილიკი ამ აივნის იატაკს ქმნის და, როცა ქვემოდან შეჰყურებ, მის მნიშვნელობას მერეღა ხვდები. თაღოვანი ჭერი ფრესკებითაა შემკული, რომელიც ძლიერ დაზიანებულია. შიდა კედლის მხრიდან ფართო გამოქვაბულში შედიხარ, რომელიც ერთგვარი მოგრძო სივრცეა კამაროვანი ჭერით და სადა ნავისა და აფსიდისათვის დამახასიათებელ ფორმაში მოქცეულა. ეკლესიის სიგრძე 46 ფუტი და 3 ინჩია, სიგანე კი 27 ფუტი.

დღემდე მოუღწევია მრავალფეროვანი ფრესკების შემკულობის ნაწილს. აფსიდაში ღვთისმშობელი და ყრმა ქრისტე გამოუსახავთ. ქალწულის მარჯვნივ ქალის შარავანდედიანი ფიგურაა, თეთრი და მოქარგული სარტყელებით. აფსიდის მარცხნივ, პილასტრზე, თვალწარმტაცი, მუქ პირისახიანი ქალის ნაკვთების გარჩევაა შესაძლებელი. იგი ეგვიპტური იერისაა და შარავანდედით შეუმკიათ. მოხუცმა მღვდელმა გვითხრა, რომ ის თამარ მეფის პორტრეტი იყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ცდება. მის იქით, თაღის პანელში გამოსახულნი არიან შარავანდედით მოსილი მეფე და დედოფალი; ხელები იმ ადგილისკენ აღუპყრიათ, სადაც ქალწული და ყრმაა. ქალწულის მიმართულებით ანგელოზი მოფრინავს, რომელიც მას რაღაცას უწვდის, თუმცა კი ვერ დავადგინეთ, რა უნდა ყოფილიყო.

გასასვლელს ეკლესიიდან გვერდით მდებარე დარბაზში შევყავართ, სადაც ძვირფასი ნივთები ინახება. დიუბუა გვამცნობს, რომ ამ ეკლესიის ზემოთ, ანუ ზედა სართულზე, ამავე ზომის ტაძარი იყო გამოკვეთილი. საიდუმლო გასასვლელი ამ დარბაზს საკურთხეველთან აკავშირებს. იგივე გასასვლელი კლდეში გვირაბით გადის და იმ გამოქვაბულებს უერთდება, სადაც ქალაქისთვის ღვინოებს ამზადებდნენ და ინახავდნენ; ამასთან, ისინი მიმდებარე ხეობაშია განლაგებული. დიუბუამ, რომელმაც ეს გასასვლელი აღმოაჩინა, იგი ნანგრევებით ჩახერგილი და გამოუყენებელი ნახა. ჩვენთვის არაფერი უთქვამთ მის არსებობაზე.

ეკლესიიდან თამარ მეფის პალატებისკენ წაგვიყვანეს, რომელიც უკიდურეს აღმოსავლეთით მდებარეობს. გზად ერთი გამოქვაბული გვიჩვენეს, რომელიც აბანო უნდა ყოფილიყო. მოგრძო მოყვანილობის აუზი ღრმად ჩაფლულიყო ქვაბულის ძირში. უკან, სიღრმეში, ფართო წყალსადენი მილი მოსჩანდა, რომელიც, როგორც გვითხრეს, წყლის მომარაგებისთვის იყო. ასევე შევნიშნეთ გამოქვაბული, სადაც პატარ-პატარა სათავსები გამოეკვეთათ, რომელსაც, სავარაუდოდ, სააფთიაქო დანიშნულება ჰქონდა.

სამეფო გამოქვაბული განიერი, თაღოვანი დარბაზია, 32 ფუტი და 4 ინჩის სიგრძის, 20 ფუტი და 1 ინჩი სიგანის და, დაახლოებით, 14 ფუტი სიმაღლის. შესასვლელიდან შიდა მხარეს ხვდები და ორივეგან პატარა ღიობ-სარკმელებია. მოპირდაპირე კედელზე, მარჯვენა კუთხის მიმართულებით, დაინახავ უფრო მომცრო ზომის დამაკავშირებელ ოთახს; ამ ოთახის მარცხნივ კი გამოუკვეთავთ პატარა თაღოვანი ნიშა, 4 ფუტი სიღრმისა. დარბაზს რამდენიმე მომცრო ნიშა ამკობს, ასევე დაბალი დივანი, რომელიც კედლების ძირში, გაყოლებაზეა გამოკვეთილი და სიგანეში 13 ინჩს არ აღემატება. შესასვლელის მარჯვნივ, კედელში, რომელიც კუთხეს ქმნის, სხვა მცირე ზომის ოთახი მდებარეობს და გარედან ღიობის საშუალებით ნათდება. შესაძლოა ამ მცირე დარბაზებს საძინებელი ოთახების დანიშნულება ჰქონდა; საზრიანი დიუბუა კი თამამად ირწმუნება, რომ პირველი გარდერობად, მეორე კი ბუდუარად გამოიყენებოდა. სართულზე რამდენიმე გამოკვეთილი სივრცეა, რაც ამ გამოქვაბულებისთვისაა დამახასიათებელი. გამოქვაბულის ზემოთ მდებარეობს ე.წ. საზაფხულო სამყოფელი – ღია გამოქვაბული, საიდანაც სასიამოვნო სანახაობა იშლება.

მაგრამ, გამოქვაბულებზე მეტად, რამაც ჩვენზე მოახდინა გავლენა, ამ ადგილის უკაცრიელობა იყო, გრძნობა უკიდურესი სიშორისა – ცოცხალი სამყაროს ერთგვარი უსიცოცხლო კუნჭული. ქარი სახიფათო ფრიალო კლდეებზე დანავარდობდა, რომელიც გადამხმარი ბალახის მწირ ამონაყარს დაეფარა; რუც კი არაა, რომელსაც სიცოცხლე შეეძლო მოეტანა. ამ დროს კი, ჩვენს გვერდით, მადლიანი წყალი შედუღაბებული იატაკის წყლის საცავში მოგროვებულა. სად არის ვენახები, რომელთაც ერთ დროს დაფარული უნდა ჰქონოდა ქვემო ფერდობები და, რომელთაც ვულკანური ხეობის ზღუდეები რეგიონს მკაცრი კლიმატისაგან იცავდა, იგი ზღვის დონიდან 4000 ფუტ სიმაღლეზე მდებარეობს. ბუნებას არემარე ლავის ფენებითა და ლავის შემდეგ დარჩენილი ნაღვერდალით დაეხორკლა. ადამიანს ეს ადგილი თავისი მუყაითი მოთმინებით აეთვისებინა, ვინემ ეს ჯაფა მისი თანამოძმის წყევლას არ წარეწყმიდა. რა მტერი უნდა შემოჭრილიყო ამ მიუვალ ხეობაში, რომელიც მოსაზღვრე მთების ყველაზე მიუდგომელ ადგილებს დაეფარათ და რომელსაც ეშმაკის ხეობა იცავდა? ეგებ იმ მოპირდაპირე კლდის გამოჩენა ამ საიდუმლოს ამოხსნის. ის უშუალოდ ჩვენს თავზე წამომართულ მწვერვალზე

ახალქალაქის ციხე
პ. უვაროვას არქივი, 1909წ.

[2] ვარძია უკან გვრჩება, მე კი მკითხველს ვურჩევდი დიუბუას შესანიშნავ აღწერილობას. იგი ახსენებს მესამე პატარა ეკლესიას, რომელიც, მისი თქმით, უძველესი მოხატულობითაა შემკული, ასევე წარწერებით, რომელიც ყველა ბერძნულ ენაზეა. ფრესკები ბიზანტიური წესისაა და მე-17 საუკუნის შუა წლებზე გვიანდელი არ უნდა იყოს. ბროსე, რომელმაც ასევე ნახა ეს სამლოცველო, თავის მხრივ ამტკიცებს, რომ ყველა წარწერა ქართული საეკლესიო ხასიათისაა; იგი უმატებს იმასაც, რომ ბერძნული წარწერა მომიჯნავე ნიშაში არსებული გოლგოთის სიმბოლოს ზემოთაა გამოსახული.

ჰენრი ლინჩის მოგზაურობა საქართველოში

ამგვარად, ჩანს, რომ ძნელი იქნებოდა ვარძიის ალყაში მოქცევა, ყოველ შემთხვევაში, გამოცდილი საშუალებებით. თუმცა, ვიღაც იხსენებდა, რომ თემურ ლენგს მარჯვე ხერხისთვის მიუმართავს ქართველთა დასამორჩილებლად, როცა მათ გამოქვაბულებისთვის შეუფარებიათ თავი. მას, მათ თავზე, კლდეზე, ხარაჩოები ჩამოუშვია, საიდანაც მისი მებრძოლები ხალხით სავსე გამოქვაბულებში ხტებოდნენ ან ცეცხლს უყრიდნენ თავზარდაცემულ დამხვდურს. ამბობენ, რომ თავად ვარძია ამ დამპყრობლებს აუღიათ, თუმცა კი არ ვიცი რა გზებით.

დაგვიხვდნენ მოხუცი არქიმანდრიტი და მისი დიაკონი, რომლებიც ამ კაი ხნის გაუდაბნოებული ალაგის ერთადერთი მაცხოვრებლები იყვნენ. ისინი მომლოცველთა ხანდისხანობით შესაწირით ირჩენენ თავს, რომლებიც ხშირად სტუმრობენ იქაურობას. ორთავე თანაბრად ჩაფლულიყო უკიდეგანო უმეცრებაში და დიაკვანს იმგვარი დარცხვენილი ყაიდის ქცევა ჰქონდა, კლდეებში მობინადრე არსება გეგონებოდათ. მათ ვარძიის სახელის მნიშვნელობა გამოკკითხე, რომელიც დიუბუას თანახმად, ქართულადაც და სომხურადაც, ვარდების ციხეს ნიშნავს. მათ კი განგვიმარტეს, რომ სახელი „აქ ვარ ძიასგან“ დარქმევია. ჩვენს სახეზე აღბეჭდილი ეჭვის მიუხედავად, ისინი ჯიუტად იცავდნენ სიტყვის ამ უჩვეულო წარმომავლობას.

ერთხანს საცალფეხო ბილიკს გავუყევით, რომლის ზემოთ და ქვემოთ გამოქვაბულები იყო. შემდეგ შთამბეჭდავ, კამაროვან აივანს მივადექით, რომლის შიდა მხარე და სახურავი კლდეში იყო ნაკვეთი, დანარჩენი ნაწილები კი ქვით ნაშენი. საცალფეხო ბილიკი ამ აივნის იატაკს ქმნის და, როცა ქვემოდან შეჰყურებ, მის მნიშვნელობას მერეღა ხვდები. თაღოვანი ჭერი ფრესკებითაა შემკული, რომელიც ძლიერ დაზიანებულია. შიდა კედლის მხრიდან ფართო გამოქვაბულში შედიხარ, რომელიც ერთგვარი მოგრძო სივრცეა კამაროვანი ჭერით და სადა ნავისა და აფსიდისათვის დამახასიათებელ ფორმაში მოქცეულა. ეკლესიის სიგრძე 46 ფუტი და 3 ინჩია, სიგანე კი 27 ფუტი.

დღემდე მოუღწევია მრავალფეროვანი ფრესკების შემკულობის ნაწილს. აფსიდაში ღვთისმშობელი და ყრმა ქრისტე გამოუსახავთ. ქალწულის მარჯვნივ ქალის შარავანდედიანი ფიგურაა, თეთრი და მოქარგული სარტყელებით. აფსიდის მარცხნივ, პილასტრზე, თვალწარმტაცი, მუქ პირისახიანი ქალის ნაკვთების გარჩევაა შესაძლებელი. იგი ეგვიპტური იერისაა და შარავანდედით შეუმკიათ. მოხუცმა მღვდელმა გვითხრა, რომ ის თამარ მეფის პორტრეტი იყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ცდება. მის იქით, თაღის პანელში გამოსახულნი არიან შარავანდედით მოსილი მეფე და დედოფალი; ხელები იმ ადგილისკენ აღუპყრიათ, სადაც ქალწული და ყრმაა. ქალწულის მიმართულებით ანგელოზი მოფრინავს, რომელიც მას რაღაცას უწვდის, თუმცა კი ვერ დავადგინეთ, რა უნდა ყოფილიყო.

გასასვლელს ეკლესიიდან გვერდით მდებარე დარბაზში შევყავართ, სადაც ძვირფასი ნივთები ინახება. დიუბუა გვამცნობს, რომ ამ ეკლესიის ზემოთ, ანუ ზედა სართულზე, ამავე ზომის ტაძარი იყო გამოკვეთილი. საიდუმლო გასასვლელი ამ დარბაზს საკურთხეველთან აკავშირებს. იგივე გასასვლელი კლდეში გვირაბით გადის და იმ გამოქვაბულებს უერთდება, სადაც ქალაქისთვის ღვინოებს ამზადებდნენ და ინახავდნენ; ამასთან, ისინი მიმდებარე ხეობაშია განლაგებული. დიუბუამ, რომელმაც ეს გასასვლელი აღმოაჩინა, იგი ნანგრევებით ჩახერგილი და გამოუყენებელი ნახა. ჩვენთვის არაფერი უთქვამთ მის არსებობაზე.

ეკლესიიდან თამარ მეფის პალატებისკენ წაგვიყვანეს, რომელიც უკიდურეს აღმოსავლეთით მდებარეობს. გზად ერთი გამოქვაბული გვიჩვენეს, რომელიც აბანო უნდა ყოფილიყო. მოგრძო მოყვანილობის აუზი ღრმად ჩაფლულიყო ქვაბულის ძირში. უკან, სიღრმეში, ფართო წყალსადენი მილი მოსჩანდა, რომელიც, როგორც გვითხრეს, წყლის მომარაგებისთვის იყო. ასევე შევნიშნეთ გამოქვაბული, სადაც პატარ-პატარა სათავსები გამოეკვეთათ, რომელსაც, სავარაუდოდ, სააფთიაქო დანიშნულება ჰქონდა.

სამეფო გამოქვაბული განიერი, თაღოვანი დარბაზია, 32 ფუტი და 4 ინჩის სიგრძის, 20 ფუტი და 1 ინჩი სიგანის და, დაახლოებით, 14 ფუტი სიმაღლის. შესასვლელიდან შიდა მხარეს ხვდები და ორივეგან პატარა ღიობ-სარკმელებია. მოპირდაპირე კედელზე, მარჯვენა კუთხის მიმართულებით, დაინახავ უფრო მომცრო ზომის დამაკავშირებელ ოთახს; ამ ოთახის მარცხნივ კი გამოუკვეთავთ პატარა თაღოვანი ნიშა, 4 ფუტი სიღრმისა. დარბაზს რამდენიმე მომცრო ნიშა ამკობს, ასევე დაბალი დივანი, რომელიც კედლების ძირში, გაყოლებაზეა გამოკვეთილი და სიგანეში 13 ინჩს არ აღემატება. შესასვლელის მარჯვნივ, კედელში, რომელიც კუთხეს ქმნის, სხვა მცირე ზომის ოთახი მდებარეობს და გარედან ღიობის საშუალებით ნათდება. შესაძლოა ამ მცირე დარბაზებს საძინებელი ოთახების დანიშნულება ჰქონდა; საზრიანი დიუბუა კი თამამად ირწმუნება, რომ პირველი გარდერობად, მეორე კი ბუდუარად გამოიყენებოდა. სართულზე რამდენიმე გამოკვეთილი სივრცეა, რაც ამ გამოქვაბულებისთვისაა დამახასიათებელი. გამოქვაბულის ზემოთ მდებარეობს ე.წ. საზაფხულო სამყოფელი – ღია გამოქვაბული, საიდანაც სასიამოვნო სანახაობა იშლება.

მაგრამ, გამოქვაბულებზე მეტად, რამაც ჩვენზე მოახდინა გავლენა, ამ ადგილის უკაცრიელობა იყო, გრძნობა უკიდურესი სიშორისა – ცოცხალი სამყაროს ერთგვარი უსიცოცხლო კუნჭული. ქარი სახიფათო ფრიალო კლდეებზე დანავარდობდა, რომელიც გადამხმარი ბალახის მწირ ამონაყარს დაეფარა; რუც კი არაა, რომელსაც სიცოცხლე შეეძლო მოეტანა. ამ დროს კი, ჩვენს გვერდით, მადლიანი წყალი შედუღაბებული იატაკის წყლის საცავში მოგროვებულა. სად არის ვენახები, რომელთაც ერთ დროს დაფარული უნდა ჰქონოდა ქვემო ფერდობები და, რომელთაც ვულკანური ხეობის ზღუდეები რეგიონს მკაცრი კლიმატისაგან იცავდა, იგი ზღვის დონიდან 4000 ფუტ სიმაღლეზე მდებარეობს. ბუნებას არემარე ლავის ფენებითა და ლავის შემდეგ დარჩენილი ნაღვერდალით დაეხორკლა. ადამიანს ეს ადგილი თავისი მუყაითი მოთმინებით აეთვისებინა, ვინემ ეს ჯაფა მისი თანამოძმის წყევლას არ წარეწყმიდა. რა მტერი უნდა შემოჭრილიყო ამ მიუვალ ხეობაში, რომელიც მოსაზღვრე მთების ყველაზე მიუდგომელ ადგილებს დაეფარათ და რომელსაც ეშმაკის ხეობა იცავდა? ეგებ იმ მოპირდაპირე კლდის გამოჩენა ამ საიდუმლოს ამოხსნის. ის უშუალოდ ჩვენს თავზე წამომართულ მწვერვალზე მაღალია; სილუეტი ჰორიზონტალურია, კლდის თხემი კი სწორი. სინამდვილეში ეს უზარმაზარი ზეგანის დაუცველი კიდეა, რომელსაც მტკვრის კანიონი ჰყოფს. ტრამალების მთელი რიგი სპარსეთის უკიდურეს კალთებამდეა გადაჭიმული – როგორც გაბნეულად დანაწევრებული ერთი მთლიანი პლატო.2 ნაშუადღევს ჩვენს ბანაკში დასაბრუნებლად გავემართეთ. ხეობაში უკვე ღამე ჩამოწოლილიყო. გული დაგვწყდა, რომ ვერ აღვბეჭდეთ ფოტოზე საშინელებათა ეს სურათები და მდინარის ხმაურში მდუმარედ გავუყევით გზას ბინდის ქვეშ. მეორე დღეს ახალქალაქისკენ გავემართეთ თავფარავნის ხეობით. საფოსტო გაჩერება აბაზბეგი, ასპინძიდან 14 ვერსტში, ხეობიდან ზემოთ, კარგა მოშორებით მდებარეობს და მასსა და ახალქალაქს შორის მანძილი 18 ვერსტი, ანუ 12 მილია. პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ჩვენ ამ პუნქტებს შორის ბრიჩკათი ვიმგზავრეთ ურესორო საფოსტო ორთვალათი. მგზავრობა დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა და კარგად გაყვანილი გზა თანდათან მაღლამაღლა მიუყვებოდა და თავფარავნის მღელვარე დინებას გადაჰყურებდა. ხერთვისის ბაღები ციხესიმაგრიდან მოყოლებული, კარგა მანძილზეა გადაჭიმული და დაბის ნაწილი ამ მხარეს მდებარეობს. შემდეგ მდინარის საზღვრები ისე ვიწროვდება, რომ აღარც კი მოსჩანს და, 200 ფუტზე მაღლა აზიდული ფრიალო კლდეები თავის კალაპოტში იქცევენ მდინარეს. სინამდვილეში ეს ღრმა ნაპრალია პლატოს ზედაპირზე, სადაც ქალაქი ახალქალაქი მდებარეობს. კლდეებს შორის არც სოფელი შეგვხვედრია და არც რაიმე ოაზისი; მხოლოდ ერთი უსიცოცხლო არე იყო. თუმცა, ალაგ-ალაგ მოცურავე თეთრი ღრუბლებით დაპენტილი ცა მეტად ნათელი და ლურჯი იყო, აქაფებული მდინარე კი იქაურობას აცოცხლებდა. ჩავუარეთ ახალქალაქის ციხესიმაგრეს, რომელიც მდინარის მარცხენა ნაპირის კლდის კიდეს გასდევს. ამ ნაპირთან მისასვლელად ხის ხიდი გადავიარეთ და ფერდობს ნელნელა ხვეული გზით ავუყევით. ცხადი იყო, რომ ზეგანს თავზე მოვექეცით. სწორედ იმ ადგილას, სადაც წყლები პლატოს ზედაპირიდან ქვემოთ ეშვება და ვულკანურ მიწაში ღრმად ჩადის. უკვე ღამე იყო, როცა კლდის მწვერვალს მივაღწიეთ და გამომაცოცხლებელი ჰაერი ჩავისუნთქეთ. კარვებისათვის პატარა ქალაქის ერთ ღია არეში მოვძებნეთ ალაგი, რომელიც ზღვის დონიდან 5545 ფუტზე მაღლა მდებარეობს.

ახალქალაქში იმ მიწებს მივადექით, რომლებიც უმეტესად სომხური მოდგმითაა დასახლებული. ქალაქი ადმინისტრაციული ერთეულის (უეზდი) ცენტრია, რომელიც თბილისის გუბერნიას ექვემდებარება. ეს ერთეული (უეზდი) დაყოფილი იყო ორ საბოქაულოდ, ერთი, უკიდურესი ჩრდილოეთით მდებარე, სახელს სოფელ ბარალეთისაგან იღებს, რომელიც ტაბაწყურისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს. მეორე, უფრო სამხრეთით მდებარე ადმინისტრაციულ ერთეულს – ბოგდანოვკა ჰქვია. იგი ალექსანდროპოლისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე რუსული დასახლებაა. უეზდის მოსახლეობა მთლიანობაში, გამოქვეყნებული სტატისტიკის თანახმად, შეადგენს 59 500 სულს, ან 66 000 სულს, გუბერნატორის მიერ ჩემთვის გაზიარებული ოდენობის თანახმად. პირველის მიხედვით სომხების რაოდენობა 42 000-ზე მეტია, 70%-იანი წილით, როცა გუბერნატორის სიაში, რომელიც ჩემი ვარაუდით უახლესი უნდა იყოს, ისინი შეადგენენ 58 000-ს, წილობრივად შვიდ მერვედს. მე გუბერნატორის მიერ მოწოდებული მონაცემების მთლიან რიცხოვნობას უფრო ვეყრდნობი, ვიდრე მის მონაცემებს ტომობრივი შემადგენლობის თვალსაზრისით. და ვასკვნი, რომ ქართველების წილი ერთი მეექვსედია, ხოლო რუსი მოსახლეები ერთ მეათედზე ნაკლებნი არიან. ეს მაჩვენებლები არ მოიცავს ქალაქ ახალქალაქს, რომელიც 4000-ზე მეტი მაცხოვრებლიდან მოიცავს 4000 სომეხ მაცხოვრებელს.3

მნიშვნელობა არა აქვს, მოსულები არიან ისინი თუ აბორიგენები, ფაქტია, რომ მათი გარესამყარო ჰარმონიაშია მათ გვაროვნულ ინსტიქტებთან. უკიდეგანო და შემაღლებული ზეგანი, რომელიც ზამთარში თოვლითაა დაფარული და სამხრეთის მზე დაჰყურებს. ნაყოფიერი ვულკანური მიწა, უხვწყლიანი და ხელსაყრელი ყველა სახის მარცვლეულის მოსაყვანად. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ახალქალაქის პლატო თითქმის ორმოცი მილის სიგრძისაა; მისი განი შეიძლება დადგინდეს დასავლეთით მტკვრის დინებით, ხოლო აღმოსავლეთით იმ ნაკადის საშუალებით, რომელიც მადათაფას ტბიდან გამოდის და სამხრეთის ქედის აღმოსავლეთის განშტოებებს ეკვრის. პლატოს სიმაღლე მერყეობს 5500-დან 7000 ფუტამდე. გადახნულ მიწას ეტყობა, რომ შავმიწა ნიადაგია, ან, შესაძლოა, მუქი მურა და, როგორც ჩანს, ამაზე ლავა ქვემოდან ახდენს გავლენას.

ზედაპირის მეტისმეტი სისწორე შედეგია იმ ლავების თხევადი ბუნებისა, რომელთაც შედარებით გვიანდელ პერიოდში ამოხეთქეს თრიალეთის მთების სამხრეთი ძირის ნაპრალებიდან და მთათა სარტყელების იმ ღიობებიდან, რომელნიც გარს აკრავს ბრტყელ სივრცეს.

დაბლობის ძირში თავად ვულკანური ნამოქმედარის შედეგი შესაძლოა პატარა ბორცვებისა და მომრგვალებული გორაკების ფორმებში შევამჩნიოთ. ვულკანურმა ამოფრქვევებმა ისეთი სატევები წარმოქმნეს, როგორიც განმარტოებით მდებარე ტბების საცავებია.

მისი წყლები მიწისქვეშა წყაროებითა და პონტოს მხარის ღრუბლების უხვი წვიმებით საზრდოობენ, რომლებიც ზეგანის უმაღლეს ბასტიონებს გადაუვლიან და სამხრეთის ვულკანური ქედების დასავლეთ კალთებზე, რომლებიც ამ ვაკეების აღმოსავლეთის საზღვარია, ნალექის სახით მოდიან.

კონდენსაციის ეს პროცესი ყველაზე თვალსაჩინო ქედის იმ მონაკვეთზეა, რომელიც აღრიქარსა და ყარაკაჩს შორის მდებარეობს; ადგილობრივები ამ მთებს საერთო სახელს, მოკრი გორს უწოდებენ, იგივე სველ მთებს.

მტკვრის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარე თავფარავნის ტბიდან გამოედინება და სამხრეთისაკენ დუმანის ტბის (საღამოს ტბა - მთარგმნ.) გავლით მიემართება. მიაღწევს რა სამხრეთის ნაპირს, მადათაფის ტბიდან ერთი შენაკადი ერთვის და შემდეგ გეზს ჩრდილოეთისაკენ იღებს.

გაგრძელება იქნება

ინგლისურიდან თარგმნა

რუსუდან ბერიძემ

[1] დიუბუა, დასახ. ნაშრომი, ნაწილი II, გვ. 319; ასევე იხილე ბროსე, ატლასი (გრავიურა XII), რომელიც ერთვის მის ნაშრომს Voyage archéologique-ს, და ტექსტი პირველი ნაწილის 163-ე გვერდზე. არ შევიცდები ბროსეს ტექსტის მისეულ ეკლესიის გეგმასთან, მისი გეგმის დიუბუასეულ გეგმასთან ან მათი ანაზომების ჩემსასთან შეჯერებას. ჩემი ანაზომები ვარძიასა და მთელი მოგზაურობის მანძილზე თავად გავაკეთე საზომი რულეტით, რომელიც ყოველთვის თან მქონდა. დიუბუა ტაძრის სიმაღლედ 40 ფუტს უთითებს.

[3] გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად 59 496 მაცხოვრებლიდან ამგვარი შემადგენლობაა: სომხები - 42 301, ქართველები 9771, რუსები 6617, ქურთები 689, სხვები 118 (ოფიციალური სტატისტიკა ეყრდნობა 1886 წლის სიებს, თბილისი 1893წ.). აღსანიშნავია, რომ გუბერნატორის სიაში რუსები შეადგენენ 6300-ს, რომელიც 1886 წლის მერეა შემცირებული.

მატიანე



ჭობისხევის მესხური ოდა. მე-19 ს-ის 90-იანი წლები. პეტრე დიდის სახელობის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი. პეტერბურგი

მეფე ირაკლის წერილი

მე ბედკრული საქართველოს შვილი ვარ,
მისი მეფე, მისი ჭირისუფალი.
დღე და ღამე მასზე ფიქრი მტანჯავდა,
არ ვყოფილვარ წუთით თავისუფალი.

რწმენისა და მამულისთვის ბრძოლაში
ცეცხლს აფრქვევდა ჩემი ბასრი მახვილი,
და მრავალჯერ მტერი ბევრად ძლიერი
უკუ ვდევნე ვით დამფრთხალი ნახირი.

მე ხმალი არ ჩამიგია ქარქაშში,
მრავალ მომხდურს დაუბნელე თვალები.
მაგრამ მაინც ვერ გავტეხე დუშმანი, –
გამუდმებით რეკდნენ გლოვის ზარები.

მეტად ვეღარ გაუძლებდა სისხლისღვრას,
დაცლილი და დაქცეული ქვეყანა.
ქუდიანი აღარ იძებნებოდა,
ქუდზე კაცი როგორ გამომეყვანა.

უთვალავი მტერების გარემოცვაში,
ძლივს ბჟუტავდა საქართველოს სანთელი.
უკაცრიელ ქართულ ნასოფლარებში
ქართველის კვალს დაეძებდა ქართველი.

საქართველოს ელეოდა ძალ-ღონე,
აღარ ჰქონდა სარჩო-საბადებელი.
ელეოდა მხვნელ-მთესველი ყანისა,
სადღა იყო ბავშვის დამბადებელი.

ყველა მხრიდან გვესეოდა მტარვალი,
ჟამი იდგა განკითხვის დღის მაგვარი,
ეჭვქვეშ იდგა ჩვენი ყოფნა-არყოფნა,
გაპარტახდა, გავერანდა მთა-ბარი.

ჰაერივით გვჭირდებოდა მფარველი,
ძლიერი და ერთმორწმუნე ქვეყანა.
ვიდრე პირში სული მედგა, მინდოდა,
საქართველოს მტრებზე ჯავრი მეყარა.

სხვანაირად ვერც ჩვენ გადავრჩებოდით,
გავქრებოდით მიწისაგან პირისა,

ყველაფერი კარზე იყო მომდგარი,
თქვენ რა იცით, დიდი გასაჭირისა.

არც არასდროს დამიყრია ფარ-ხმალი,
რომ დამეცვა გოჯი-მიწა ქართული.
მოვიხადე ვალი ერის წინაშე,
ხმლით დავწერე მთელი ჩემი წარსული.

გაუფრთხილდით მრავალტანჯულ ქვეყანას,
გამრავლდით და მოიკრიბეთ ძალები.
ჭორაობის და ლაქლაქის მაგივრად,
გააკეთეთ საქმე გასახარები!

მთქმელი **ზაურ ჯვარიძე**, 75 წლის,
ასპინძის მინიციპალიტეტის სოფელი
ჭობარეთი, ჩაიწერა **გიორგი ჯვარიძემ**
2023 წლის 12 მარტს

ნანული (ნანა) მიხანაშვილის ხსოვნას

მარტის თვე ძალიან მძიმე და ტრაგიკული აღმოჩნდა ქალბატონი ნანული მიხანაშვილის ოჯახის, ახლობლების, მოსწავლეებისა და კოლეგებისათვის, რადგან მან დატოვა ამქვეყნიური ცხოვრება და ზეციურ საქართველოში გადაინაცვლა.

ნანული მასწავლებელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ განძის შოთა რუსთაველის სახელობის N2 საჯარო სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის, პედაგოგი გახლდათ 2009 წლიდან გარდაცვალებამდე. შეუფასებელია მისი ღვაწლი და შრომა, რაც მან ამ პერიოდში გასწია. ადგილობრივ მოსახლეობას შეაყვარა და შეასწავლა ქართული ენა, საქართველო, ქართული კულტურა, ისტორია. აქტიურად იყო ჩართული მოსწავლეებთან ერთად კონფერენციებში, პროექტებსა თუ კონკურსებში და არაერთი გამარჯვება მოიპოვა.

ქალბატონმა ნანულიმ შეცვალა თავისი მოწაფეების ცხოვრება, სხვა პერსპექტივით დაანახა თავიანთი მომავალი, ხელი შეუწყო მათი განათლებისა და განვითარების, ნიჭიერების გამოვლენის, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და პატრიოტული გრძნობების გაღვივების საქმეს. ამგვარი ღვაწლის გამო უდიდეს მადლიერებას გამოხატავენ მისი აღზრდილები, კოლეგები, მშობლები, თემის წარმომადგენლები, ნინოწმინდის საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

იგი გამოირჩეოდა უმრეტი ენერგიითა და ენთუზიაზმით, სამშობლოს ერთგულებითა და მოყვასის უსაზღვრო სიყვარულით. სიცოცხლის ბოლო თვეებიც კი, მიუხედავად იმისა, რომ თავს საკმაოდ სუსტად გრძნობდა, თავისი საყვარელი საქმიანობა არ მიუტოვებია.

ქალბატონი ნანულის პედაგოგიური საქმიანობა და ღვაწლი ჯერ კიდევ 1970 წლიდან იწყება, სხვადასხვა დროს მუშაობდა ქ. გორის რაიონის სოფელ ატენის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად, მოგვიანებით, – ამავე სკოლის დირექტორად, ქ. მოსკოვის ქართულ–რუსული სკოლა–გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელად და მეთოდისტად, ქ. გორის საშუალო სკოლა „ინტელექტის", შემდეგ კი წმინდა გიორგის სახელობის სკოლა–ლიცეუმის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 2009 წლიდან გარდაცვალებამდე კი სოფელ განძის ქართულის, როგორც მეორე ენის პედაგოგია. ამასთან იგი იყო ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ტრენერი.

ქალბატონ ნანულის პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში მიღებული ჰქონდა უამრავი სახელმწიფო წოდება და ჯილდო, რომელთაგან აღსანიშნავია: სსრ კავშირის „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშანი; „შრომის წითელი დროშის ორდენი"; „უფროსი მასწავლებლისა" და საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება;

განუსაზღვრელად დიდია ქალბატონ ნანული მიხანაშვილის დამსახურება და ღვაწლი ჯავახეთის სომხურენოვან მოსახლეობაში ქართული ენის სწავლების საქმეში, რომელმაც უდრტვინველად, ღირსეულად, სიყვარულითა და პასუხისმგებლობით აღასრულა ეს საპატიო მისია.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრი,
სოფელ განძის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და მოსწავლეები

მეცნიერის არქივიდან

სიტყვათხმარების ისტორიიდან

ერთი მესხური გამოთქმის გამო

სუფრას აუმატე!" – ამ მესხურ გამოთქმასთან დაკავშირებით ერთი შემთხვევა მაგონდება ჩემი იმდროინდელი მოგზაურობიდან მესხეთში: ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალების შესაკრებად ლენინგრადიდან მოვლინებულ ახალგაზრდა ენათმეცნიერ მიხეილ ჩხაიძესთან ერთად სოფელ ტოლოშიდან ფეხით ზედა თმოგვში ავედით.

მოსაღამოვდა და სოფლის თავკაცმა ლ.მაისურაძემ შინ მიგვიწვია.

ძველებურ ოდაში ვახშმად მსხდომნი გულდასმით ვუსმენდით მასპინძლის თხრობას გარდასულ ამბებზე. ნავახშმევს მასპინძელმა მეუღლეს გასძახა: ქალო, სუფრას აუმატეო!

დიასახლისმა სუფრა აალაგა. ამან კი ჩვენი გაოცება გამოიწვია, რადგან მივხვდით, სიტყვა „ამატება" შებრუნებული მნიშვნელობით იყო ნახმარი: იგი საჭმლის დამატებას, მოტანას კი არ აღნიშნავდა, არამედ წაღებას, ალაგებას.

ამან დაგვაფიქრა, რით უნდა აიხსნას ხალხში დამკვიდრებული ეს ჩვეულება – უარყოფითი შინაარსის ნაცვლად ესა თუ ის სიტყვა შებრუნებულად, ე.ი. დადებითი შინაარსით იხმარონ?

მოვიხმოთ კიდევ ერთი ამის მსგავსი მაგალითი ნიკო ლომოურის ცნობილი მოთხრობიდან. აქ გამოყვანილია მკვირცხლი სოფლელი ბიჭი სიმონა, რომელსაც საალერსოდ ქაჯანას ეძახდნენ. მწერალი მის მეზობელს ასე ათქმევინებს: – „ქაჯან, გაიქე, დედაშენს უთხარი: ერთი პური გვასესხეთქო", რაზედაც ავტორი დასძენს: „სიმონა საჩქაროზე გაქანდებოდა შინისაკენ და თუ სავსედ არ ჰქონდათ, ხტუნაობით გამოურბენინებდა პურს."

დიახ, პურის სავსედ ქონება სიტყვათა ამ გარემოცვაში ნიშნავს პურის უქონლობას და, მსგავსად ზედა თმოგვში მოსმენილი ფრაზისა, აქაც შებრუნებულ (სიტყვათშენაცვლებულ) თქმასთან გვაქვს საქმე. მას ხალხის უძველესი ცრუ რწმენა უდევს საფუძვლად. მოლაპარაკე ერიდება უარყოფითი შინაარსის სიტყვების წარმოთქმას, ეშინია, არ გამართლდეს შიგ ჩაქსოვილი არარაობის თუ სიცარიელის ცნება: კიდობანში პური არ გაუწყდეს და სუფრაზე – საჭმელი. ამიტომ არის, რომ იგი უკუღმა (ნართაულად) ლაპარაკობს. ეს არის სიტყვების შეგნებული შენაცვლების უძველესი წესი, რომელიც ენათმეცნიერებაში ევგენიზმის სახელით არის ცნობილი. ამ შემთხვევაში, ცხადია, სიტყვა ბატონობს ადამიანზე, რომელმაც სიტყვა და საგანი გაათანაბრა, ინამა სიტყვის ყოველისმძლე მაგიური ძალა და საფრთხის ასაცილებლად „ცუდ" სიტყვას, ე.წ. „კარგი" სიტყვა შეუნაცვლა, ან სულ აღკვეთა მათი წარმოთქმა. ასეა აღკვეთილი მაგალითად, გველის ან ჭიანჭველის ხსენება. ამ მოვლენას სიტყვის ტაბუს უწოდებენ.

აკადემიკოსი არნ. ჩიქობავა თავის წიგნში „ენათმეცნიერების შესავალი" წერს: „საქართველოს ზოგ კუთხეში „ჭიანჭველს" არ ახსენებდნენ იმ ოჯახში, სადაც აბრეშუმის ჭია ჰყავდათ – „ჭიანჭველა არ დაესიოს აბრეშუმის ჭიასაო".

მისასალმებელია, რომ ამ ბოლო დროს ევფემიზმებს ქართულ ენაზე სპეციალური ნაშრომი მიეძღვნა. 1977 წელს უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა კარლო ჯორჯანელის წიგნი „ევფემიზმები და სიტყვის ტაბუ". აქ მეცნიერულად არის განხილული ევფემიზმების არსი, მოცემულია მათი კლასიფიკაცია როგორც ენობრივი ნიშნების საფუძველზე, ისე წარმომქმნელი მოტივების მიხედვით დახასიათებულია ტაბუირებული სიტყვა-თქმები. ცალ-ცალკე არის გაანალიზებული ევფემიზაციის შედეგად შეცვლილი სიტყვების ნიმუშები (გარდაცვალება, განსვენებული, ფეხმძიმე, უსინათლო, პირნაღვლობა, სახედარი, მყეფარი...).

აქვე ვხვდებით ჩვენს მიერ ზემოაღნიშნულ მაგალითებსაც სუფრის ამატებისა და პურის სავსეობის შესახებ. როგორც ავტორი მოუთითებს, ისინი დღემდე ცოცხლობენ ქართლისა და კახეთის სიტყვახმარებაშიც.

ილია მაისურაძე,
დოცენტი, 1979 წელი

ახალი გამოცემები

დიდი შენაძენი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" მკითხველები და საისტორიო საზოგადოება კარგად იცნობს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, მესხეთის საგანმანათლებლო სფეროს დაუღალავ მკვლევარს ნატო ყრუაშვილს, რომელმაც მას მრავალი ფრიად საგულისხმო, სამაგიდო წიგნი მიუძღვნა და ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ამ საქმეში.



ახლახან კიდევ ერთი შესანიშნავი წიგნით გაახარა მკითხველი საზოგადოება – სამცხე-ჯავახეთის ისტორიულმა მუზეუმმა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სამცხე-ჯავახეთი" (დამხმარე სახელმძღვანელო), რომელშიც ცალკე თავებადაა წარმოდგენილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 1879-1929 წლებში"; „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობა სამცხე-ჯავახეთში" (რომლის ქვეთავებში განხილულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ სამცხე-ჯავახეთში დაარსებული სკოლები და ბიბლიოთეკები). ასევე ცალკე თავადაა წარმოდგენილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ახალციხის განყოფილება".

წიგნის შედგენისას გამოყენებულია ქართულ პერიოდულ პრესასა და სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში დაცული მრავალი დოკუმენტური და მდიდარი ფოტო მასალა, რაც კიდევ უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის ამ შესანიშნავ წიგნს.

გამოცემის რედაქტორია პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ლია მენთეშაშვილი. რეცენზენტები – ისტორიის დოქტორი ციური ლაფაჩი და ისტორიის დოქტორი, პროფესორი როინ ყავრელიშვილი.

საკ. ინფორმაცია

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი" (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის" სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com